პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელი. № 203 (12117) | სამშაბათი, 5 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის იდეები — მასებში

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები — კომუნისტები და უპარტიოები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მხურვალედ ეცნობიან და სწავლობენ თანამედროვე ეპოქის უდიდეს დოკუმენტებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამასა და წესდების პროექტებს. პარტიულ ორგანოებში, პრესაში შემოსული წერილებით საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ ღრმა სიყვარულს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, გამოთქვამენ უდიდეს სიამაყეს იმ გრანდიოზული გარდაქმნების გამო, რაც პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში. და ამის დიდი შეგნება საქართველოს მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, აღფრთოვანებს — თავდადებით იბრძოლონ და იშრომონ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ფაბრიკებსა და ქარხნებში, ახალშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმაგალითო ძალით გაჩაღდა მასების შრომითი აქტივობა. მშრომელები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ გამრავლონ საზოგადოებრივი დოვლათი, წარმატებით განახორციელონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უდიდესი საპატიო ამოცანა, პარტიის მომავალი XXII ყრილობას უმზადებენ ყველაზე ღირსეულ, საუკეთესო საჩუქარს — სოციალისტური ვალდებულებებისა და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

ამავე დროს კრებების, მიტინგების ტრიბუნებიდან სულ უფრო და უფრო მძლავრად ისმის საბჭოთა ადამიანების მრისხანე ხმა. ეს არის კომუნიზმის გზით მიმავალი ხალხის პროტესტის ხმა დასავლეთის ქვეყნების საომარი პროვოკაციების წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იმ სამხედრო მოსამსახურეთა დროებით დატოვების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვადები, და ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქების განხორციელების შესახებ. საბჭოთა ხალხი საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას არა სურს ომი, მაგრამ იმ ომს თუ თავზე მოახვევენ, იგი გულხელდაკრეფილი არ დარჩება.

საბჭოთა ადამიანების მისწრაფება და სურვილი ერთია — მტკიცედ იბრძოლონ თავიანთი ხანუკვარი მიზნის — კომუნიზმის აშენებისათვის, არ დაზოგონ ძალა და ენერგია სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების სადღესასწაულო ამოცანა ის არის, რომ განამტკიცონ მასებში თავიანთი ძალების ურყევი რწმენა, მიაღწიონ თვითეულ ადამიანს ღრმად ესმოდეს თავისი დიდი საზოგადოებრივი მოვალეობა, მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოაწყონ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვა, ამ დოკუმენტების მაცოცხლებელი იდეებით შეაიარაღონ თვითეული კომუნისტი, თვითეული საბჭოთა ადამიანი.

იმ დიდი პოლიტიკური და შრომითი ამაღლების დღეებში, რომელიც გამოწვეულია პარტიის მომავალი XXII ყრილობისათვის მზადებით, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მშრომელთა შორის მრავალრიცხოვან პროპაგანდისტთა, აგიტატორთა, ლექტორთა მაორგანიზებელი დამრაზმავი ხმა. კრებებზე, კითხვა-პასუხის საღამოებზე, თეორიულ კონფერენციებზე მშრომელები უდიდესი ინტერესით საუბრობენ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შესახებ, გულდასმით ეცნობიან მათში მოცემულ უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, რადგან როგორც იტყვიან, როცა კარგად გესმის ბრძოლის მიზანი, მაშინ თვით ბრძოლა გიადვილდება.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ახლა გაცხარებული საქმიანობაა. ბევრი მათგანი სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების შესწავლას მიუდგა შემოქმედებითად, ამ საქმისათვის გონივრულად იყენებს იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, მახარაძის და სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციების მაგალითი. კარგად მოიქცა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, როცა მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „ახალი ადამიანი ყალიბდება წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში“. სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებიდან ცალკეულ საკითხებზე საინტერესო კითხვა-პასუხის საღამოებს, ლექციებსა და საუბრებს აწყობენ ქალაქის ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში.

მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე გვერდი ავუაროთ იმას, რომ ზოგიერთ რაიონში პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ პროგრამისა და წესდების პროექტების გაცნობასა და შესწავლას. რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე აღინიშნა, რომ აგიტატორთა ერთი ნაწილი უმოქმედობას იჩენს, ზოგიერთ საწარმოსა და კოლმეურნეობაში ამ დოკუმენტების შესწავლა თვითდინებაზე მიუშვეს და აგიტატორები და პროპაგანდისტები ამ დოკუმენტების მარტო წაკითხვას სჯერდებიან.

პარტიის ტყიბულის რაიონულ კონფერენციაზე სამართლიანად გააკრიტიკეს რაიკომი და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იმის გამო, რომ ისინი სუსტად ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ ცალკეულ აგიტკოლექტივებსა და სასოფლო ლექტორთა ჯგუფებს, რომ პროგრამისა და წესდების პროექტების ღრმად შესწავლისათვის პრაქტიკულად ცოტა რამ იყო გაკეთებული.

ზოგან პარტიულ კონფერენციებზე ცოტაა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მშრომელთა შორის ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების გაცნობა-შესწავლა.

რთული და მრავალფეროვანია იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები ყრილობის წინადღეებში. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტულ კადრებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილება შეიძინეს. ახლა აუცილებელია ამ გამოცდილების ფართოდ გამოყენება. საჭიროა გულმოდგინედ ვამზადებდეთ და ვაწყობდეთ პროპაგანდისტთა, ლექტორთა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარებს, ვმართავდეთ კონსულტაციებს პროგრამასა და წესდების ძირითად საკითხებზე.

იდეოლოგიური მუშაობის ყველა რგოლი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, მთელი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნარიანად უნდა წარვმართოთ თანამედროვეობის ამ უდიდესი დოკუმენტების — ჩვენი პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების მშრომელებისათვის ღრმად გასაცნობად და შესასწავლად.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

შეენთვის, ჩემო სამშობლოვ!

სრულიად გადაუჭარბებლად, სავსებით ობიექტურად, ფაქტებზე დამყარებით ჩვენ უნდა ვთქვათ პროგრამაში იმის შესახებ, რაც არის, და იმის შესახებ, რის გაკეთებასაც ვაპირებთ.

[illegible]

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის აგურის ქარხანა ერთ-ერთი დიდი და მექანიზებული ქარხანაა რესპუბლიკაში. საწარმოს მიერ გამოშვებული აგური მთლიანად აკმაყოფილებს რაიონის ახალმშენებლობებს. ახლა ტყიბულელი მეაგურეები პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან და თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ მუშაობაში. განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 200 ათასი ცალი აგური.

ქარხნის კოლექტივის წარმატებებზე მეტყველებს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების უჩვეულო ზრდა. აქ თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება 22 პროცენტით გაიზარდა. ათასი ცალი აგურის თვითღირებულება 4 მანეთითა და 53 კაპიკით შემცირდა. ზეგეგმითმა ეკონომიამ უკვე 29.000 მანეთს გადააჭარბა.

ახალციხე. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანამ წელს 2.400 ათასი პირობითი ქილა კონსერვი უნდა გამოუშვას. ქარხნის კოლექტივი კარგად მოემზადა სეზონისათვის. წელს დამონტაჟდა ახალი საორთქლე ქვაბი, გაიხსნა სამურაბე საამქრო, მოეწყო სასაწყობო მეურნეობა, მოგვარდა ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის საკითხი.

ახალციხელმა მეკონსერვეებმა უკვე გამოუშვეს 904 ათასი პირობითი ქილა სხვადასხვა სახის ხილის მურაბა, კომპოტი, კიტრის კონსერვი. მარტო აგვისტოში გამოშვებულია 750 ათასი ქილა კონსერვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 575 ათასისა.

საყრილობო შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 170-200 პროცენტით ასრულებენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კომკავშირელი მუშები მხუფავები ლეილა კუჭაძე, ლიდა მაისურაძე, ციალა ჩადუნელი, მანუშ კარახანიანი, სტერლიზატორები გურამ ხითარიშვილი, გივი უსოვი და სხვები.

აბაშა. (საკ. კორ.). აბაშის მექანიკური ქარხანა ამზადებს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში იგზავნება.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები წარმატებით იწევიან სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათეული ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

ლ. მაღულარიას გამარჯვება

არის 15.150 კილოგრამი ჩაის ფოთოლი

მახარაძე. (საკ. კორ.). ჩაის უხვი მოსავლის ოსტატმა, ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიე ლეილა მაღულარიამ გადაჭარბებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება მოკრიფა 15.150 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 15.000 კილოგრამს ითვალისწინებდა.

სახელგანთქმული მეჩაიე მიღწეულით არ კმაყოფილდება, მან დამატებით იკისრა სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 1.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ეს აქნება მისი საჩუქარი სკკპ XXII ყრილობისადმი.

სურათზე: ლეილა მაღულარია.

ახალი სარაიონთაშორისო გაზეთი

ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების ახალციხის რაიონად, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ახალქალაქის რაიონად გაერთიანებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას ახალი სარაიონთაშორისო გაზეთი — საქართველოს კომპარტიის ახალციხისა და ახალქალაქის რაიკომების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ახალი სარაიონთაშორისო გაზეთი.

ახალი სარაიონთაშორისო გაზეთი გამოვა სამ დამოუკიდებელ გამოცემად: „წითელი დროშა“ — ქართულ ენაზე, „კარმირ დროშ“ — სომხურ და „კრასნოე ზნამია“ — რუსულ ენაზე. რაიონების გაერთიანებამდე გამოსული გაზეთებთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ახალი სარაიონთაშორისო გაზეთის პერიოდულობა: „წითელი დროშა“ და „კარმირ დროშ“ გამოვა კვირაში 5-ჯერ ოთხ გვერდად, „კრასნოე ზნამია“ — კვირაში სამჯერ ორ გვერდად.

სარაიონთაშორისო გაზეთის გამოცემა შესაძლებელს გახდის ბევრად გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება, უფრო ღრმად და ოპერატიულად გაშუქდეს პრესაში ახალშექმნილი რაიონების ცხოვრება. (საქდესი).

3.500 ტონა თამგაკო სახელმწიფოს

მარნეულის რაიონის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს წელს თამბაქოს კარგი მოსავალი მოჰყავთ. ახლა ჩქარი ტემპით წარმოებს აღება.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვა დაიწყო. პირველ დღეებში სახელმწიფოს 20 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო მიჰყიდეს. შუმიანის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ დამამზადებელ პუნქტს 8 ტონა თამბაქო ჩაბარა. ამ მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს აგვისტოს ბოლომდე გეგმით გათვალისწინებული 15-ის ნაცვლად სახელმწიფოს 40 ტონა თამბაქო მიჰყიდონ. ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობა აგვისტოში 40 ტონის გადაჭარბებით შეასრულებს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის თვიურ დავალებას.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვას შეუდგნენ სოფლების ალგეთისა და ყულარის კოლმეურნეობები.

მარნეულის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს 3.500 ტონა თამბაქო მიჰყიდონ. ასეთი წარმატებით შეხვდებიან სკკპ XXII ყრილობას.

პ. ლონდარიძე.

სიმინდს იღებს ბექიტაშვილი

ყვარელი. („კომუნისტის კორ.). მიწამ დაუპურა „მინდვრის დედოფალი“, სიუხვით აავსო, დოვლათად აქცია. მცენარის ღეროზე დაყრილი ტაროები თავს იწონებენ. მერე რა ტაროები!

ამაყობენ შილდელი კოლმეურნეები. აქვთ კიდეც საამაყო. კალოზე სიმინდი გორებად რომ დახვავდა, ეს მათი თავდადებული შრომის ნაყოფია. ასეთი მოსავალი შილდელებს დიდი ხანია არ ჰქონიათ.

სამას ჰექტარ ყანებს ზრუნვა არ მოაკლეს, საგულდაგულოდ დამუშავეს. მონდომებით იბრძოდნენ ყოველ ჰექტარზე 66 ცენტნერი მარცვლის მისაღებად.

სიმინდის მოსავლის აღებას განსაკუთრებული სიხარულით მოელოდა ახალგაზრდა მექანიზატორი გურამ ბეციტაშვილი. კომბაინის თვითეული ნაწილი რამდენჯერმე გულდასმით შეამოწმა, შესაკეთებელი შეაკეთა.

— მანქანა სამუშაოდ მზადმყოფობაშია, შეუფერხებლივ უნდა იმუშაოს, — ფიქრობდა იგი და მოსავლის აღების მოლოდინში ღელავდა. ხუმრობა ხომ არ არის — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ 100 ჰექტარი სიმინდის აღება მიანდო. ნდობას გამართლება უნდა.

სიმინდი დამწიფდა.

გურამმა მინდვრის ხომალდით პირველმა გაჭრა სიმინდის ყანა. ბუხკერი მალე გაივსო. გრძელგრძელი ტაროები ავტომანქანაში გადატვირთეს. მას მეორეც მოჰყვა...

გურამის კომბაინით აღებული სიმინდით დატვირთული ავტომანქანები განუწყვეტლივ მიედინებიან სველე კალოებისაკენ. ახალგაზრდა კომბაინერმა პირველ დღეს მოსავალი ექვს ჰექტარზე აიღო. ჰექტარზე საშუალოდ 90 ცენტნერი სიმინდი — ასეთია შილდელთა შრომის შედეგი. მაღალი მოსავალი აღფრთოვანებს მას იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს 100 ჰექტარი სიმინდის აღების მინდობილი საქმე.

სიხარულს განიცდიან კომკავშირული ბრიგადის წევრები. შრომა დაუფასდათ, საქვეყნოდ გაათქვეს სახელი. მოსავლელად მიჩენილი სიმინდის ფართობის ყოველ ჰექტარზე 90, ხოლო ზოგიერთ ნაკვეთებზე 100 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს ახალგაზრდებმა.

შილდელმა მხვნელ-მთესველებმა რამდენიმე დღეში 40 ჰექტარი სიმინდი აიღეს. მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა.

ამბები, ფაქტები, ცნობები

დამაჯებით იქნება 640 ტონა ჩაი

ბათუმი. (საკ. კორ.). მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ემზადებიან პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ სიხარულის დღეებში ბათუმის რაიონის მშრომელებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს. წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეჩაიეებმა, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოკრიფეს 6.461 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6.460 ტონისა. ეს შარშანდელ მაჩვენებელს 265 ტონით აღემატება.

წლიური გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს აჭარისწყლის მარიზის კომუნის სახელობის, სარფის ორჯონიკიძის სახელობის, თხილნარის გორკის სახელობის, ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა და სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

შეკრების ღირსი არიან ბრიგადები, რომლებსაც შაქრო კახიძე, ოთარ ვანლიში და შოთა ქოქოლაძე ხელმძღვანელობენ. ბეჯითად იმუშავეს მკრეფავებმა. ახალსოფლელმა მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარიამ გურგენიძემ მოკრიფა 9.200 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ხელვაჩაურელმა დარეჯან თუმანიძემ — 9.300 კილოგრამი, ახალგაზრდა მეჩაიემ ლამარა ლეონიძემ — 5.000 კილოგრამი.

მივიცეთ სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით 640 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

165.000 ტონა ჩაისათვის!

ვალდებულება კანონია, მეჩაიეებო!

ფოთი. (საკ. კორ.). ბევრი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ემზადებიან პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ სიხარულის დღეებში ბათუმის რაიონის მშრომელებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს. წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეჩაიეებმა, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოკრიფეს 6.461 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6.460 ტონისა. ეს შარშანდელ მაჩვენებელს 265 ტონით აღემატება.

ფოთელ სამშობლოს უნდა მივცეთ 165 ათასი ტონა ჩაი, მოკრეფილია 142.767 ტონა

დადგა შემოდგომა. დაიწყო უამინდობა და ეს კიდევ უფრო დაძაბულ შრომას მოითხოვს საქართველოს მეჩაიეებისაგან. რომლებმაც იკისრეს ვალდებულება შეიდწლედის მესამე წელს სამშობლოს მისცენ 165.000 ტონა ჩაი.

სტატისტიკური სამართველოს მიერ გამოშვებული ცხრილი გვაუწყებს, რომ პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში სულ მოკრეფილია 142.767 ტონა ჩაი — წლიური გეგმის შესრულება უდრის 95,2 პროცენტს. შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილი იყო 142.180 ტონა — წლიური გეგმის შესრულება უდრიდა 103,0 პროცენტს.

აჭარის სსრ წელს გეგმით უნდა მოკრიფოს 25.443 ტონა ჩაი, პირველი სექტემბრისათვის მოკრეფილია 24.427 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 96,0 პროცენტით. **აფხაზეთის** სსრ გეგმით უნდა მოკრიფოს 25.000 ტონა, მოკრეფილია 23.280 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 93,1 პროცენტით. **მახარაძის** რაიონმა გეგმით უნდა მოკრიფოს 30.580 ტონა, მოკრეფილია 28.861 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 94,4 პროცენტით, **ზუგდიდის** რაიონმა უნდა მოკრიფოს 19.227 ტონა, მოკრეფილია 17.811 ტონა, წლიური გეგმის შესრულება უდრის 92,6 პროცენტს. **გალის** რაიონმა უნდა მოკრიფოს 12.870 ტონა, მოკრეფილია 11.957 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 92,9 პროცენტით. **ლანჩხუთის** რაიონმა უნდა მოკრიფოს 8.450 ტონა, მოკრეფილია 7.493 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 88,7 პროცენტით...

სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მეჩაიეობის ყველაზე დიდი და მოწინავე რაიონები წლიური გეგმის შესრულების მხრივ ჩამორჩებიან მწვანე ფოთლის კრეფის შარშანდელ ტემპს.

ეს მეტად დამაფიქრებელია.

ამხანაგო მეჩაიეებო! ნუ დაივიწყებთ, რომ წელს შარშანდელთან შედარებით დიდი ვალდებულებები გაქვთ ნაკისრი. ამ ვალდებულებათა შესრულება თავდადებულ, დაუღალავ შრომას მოითხოვს. ახლა ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩაის საკრეფად სექტემბრის ყოველი დღე, ყოველი საათი!

ნაკისრი ვალდებულება კანონია — ის უთუოდ უნდა შესრულდეს.

მეშვიდოგის საქმე იზეიმეგს

პარჯიის აზრი ხალხის აზრია

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სსრკ თავდაცვის გასაძლიერებლად

დაე იცოდნენ...

წინასაყრილოგო ვახტზე დგას ჩვენი ქარხნის კოლექტივი. ყოველი ჩვენგანი ენერგიას არ იშურებს, რათა სამშობლოს მივცეთ მეტი ელექტროხელსაწყო, რომ კიდევ უფრო ლამაზი და უზრუნველყოფილი იყოს ყოველი საბჭოთა ადამიანის ცხოვრება.

მაგრამ ოკეანესგაღმელი ომის გამჩაღებლები კვლავ განაგრძობენ იარაღის ყალიბებას, ცდილობენ დაგვაშინონ, კვლავ გაურკვეველი ვადით გადადონ ვერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

ჩვენი ქვეყანა არასოდეს პირველი არ იხმარს იარაღს, მაგრამ იცოდეს ყველა ომის გამჩაღებელმა, რომ თუ ისინი დაანთებენ ომის ხანძარს, გამანადგურებელ პასუხს მიღებენ. ომის გამჩაღებელთა გზაზე მშვიდობის საიმედო ბურჯად არის აღმართული ჩვენი ქვეყანა, მისი არმია. ჩვენ ვარწმუნებთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ უფრო მტკიცედ დავდგებით სამშობლოს სადარაჯოზე, მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ სამშობლოს ეკონომიურ აყვავებას, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ზ. რუსია, ბ. ხუციელავა, ბ. ავაზაშვილი, შ. ურდულაშვილი, ა. ბაბუაშვილი.

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები.

მხარს ვუჭერთ

გამალებულ საომარ მზადებას მოუცავს იმპერიალიზმის ბანაკი. იმპერიალიზმის ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატები გამალებით იარაღდებიან. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კაცობრიობა ომის ქარცეცხლში მოაქციონ. დასავლეთში კვლავ გაისმის ჯარისკაცთა დალურსმული ნაბიჯები.

ახლა როდესაც საბჭოთა ხალხი შემოქმედებით შრომას ეწევა და მთელი ჩვენი ძალები მიმართულია კომუნიზმის მშენებლობისაკენ, ძნელი გადასაწყვეტი იყო საბჭოთა მთავრობისათვის განეახლებინა ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქებანი. შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ იყო და ამ დროულ და სავსებით სწორ გადაწყვეტილებას მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

ქართველი ხალხი, ქართველი მეცნიერები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

ივანე კაბარავა
აკადემიკოსი

ხალხს მშვიდოგა სწყურია

ჩვენი ქარხნის კოლექტივი მხურვალედ უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას იმ ჯარისკაცთა, მატროსთა სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები.

ამ გადაწყვეტილებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, დღევანდელ ვითარებაში, როცა დასავლეთის აგრესიული წრეები აშკარად ემზადებიან ომისათვის ჩვენს წინააღმდეგ, მთელი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხს მშვიდობა სწყურია. ვის უნდა ახლა ომი? ომი სურთ მხოლოდ იმპერიალისტებს, განგსტერებს, რომლებიც მასში მილიონობით შემოსავალს ხედავენ. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს ძველი სიმღერაა. ცეცხლთან თამაში მხოლოდ იკვდილს, განადგურებას უქადის მათ.

ჩვენი ქარხნის მუშები, სპეციალისტები, მოსამსახურეები პარტიისა და მთავრობის ამ ღრმად მოფიქრებულ გადაწყვეტილებას იმით უპასუხებენ, რომ გაორკეცებული ენერგიით განაგრძობენ შრომას საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ქარხანამ წელს გეგმით უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 3.000 ტონა წითელი ყურძენი. რთველი მოახლოვდა. და ჩვენც მზად ვართ.

მ. ჟვანიაშვილი,
სამტრესტის თელიანის ღვინის ქარხნის დირექტორი.

ქვეყნის საკეთილდღეოდ

ახლანდელ ვითარებაში, როცა იმპერიალისტები აშკარად ამზადებენ ომს, თქმა არ უნდა, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად მხარს უჭერს ამ გადაწყვეტილებას. კარგად გვესმის, რომ ეს ღონისძიება მიმართულია მშვიდობის განმტკიცებისაკენ, ჩვენი ქვეყნის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისაკენ.

კ. კოგალაძე,
გალის რაიონის სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი-აგრონომი.

ულანბატორი

ადგომარეობა მოზამგიკში

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). პორტუგალიელი კოლონიზატორები, რომლებიც ცდილობენ ჩაახშონ მოზამბიკის აფრიკელი მოსახლეობის მზარდი ბრძოლა, გამალებით ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა განამტკიცონ თავიანთი კოლონიური აპარატი აღმოსავლეთ-აფრიკის ამ კოლონიაში. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლორენცო-მარკესიდან იუწყება, მოზამბიკში პორტუგალიიდან კვლავ ჩამოდიან ჯარები ხომალდებით.

მეთვალყურეებმა გამოიანგარიშეს, წერს კორესპონდენტი, რომ ამჟამად მოზამბიკის ტერიტორიაზე უკვე განლაგებულია 15 ათასი პორტუგალიელი ჯარისკაცი. ჯარების დიდი ნაწილი არის ტანგანიკისა და ნიასალენდის საზღვარზე.

სასწრაფო წესით კოლონიაში გაჰყავთ ახალი გზები, აშენებენ ასაფრენ-დასაჯდომ ზოლებს. ამ ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონების ყველა დიდ პლანტაციაში იქმნება იარაღის საწყობები.

ყველა ძირითად აეროდრომსა და რადიოსადგურს, იუწყება კორესპონდენტი, იცავენ პორტუგალიელი პარაშუტისტები.

დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ

ბერლინი. (საკდესი). როგორც ადნის საგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა იდენტური ნოტები, რომლებშიც იგი აცხადებს პროტესტს იმ შემთხვევების წინააღმდეგ, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან იტაცებენ ბავშვებს და გზავნიან მათ დასავლეთ ბერლინში.

ნოტებში მოყვანილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ბავშვების მოტაცების ორი განსაკუთრებით აღმაშფოთებელი შემთხვევა.

ორივე შემთხვევაში, აღნიშნულია ნოტებში, საქმე ეხება იმ დანაშაულს, რომელიც მომზადდა დასავლეთ ბერლინში იქ არსებული არანორმალური მდგომარეობის პირობებში და რომლის მიზანია მანტაცის გზით აიძულონ ზემოდ მოხსენიებული ბავშვების მშობლები დატოვონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ფარისეველი

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უოფელმა პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელმაც ერთ დროს ბრძანება გასცა იაპონიის ქალაქების ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შესახებ, რომლის შედეგად ათეულ ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა, გადაწყვიტა რა განახორციელოს ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქება, „დაუშვა დიდი შეცდომა“ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქედან უნდა გამოიტანონ „პროპაგანდისტული სარგებლობა“. თავის მოლად ფარისევლურ განცხადებაში უოფილი პრეზიდენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ მხოლოდ შეერთებულ შტატებს აქვს ყველაფერი ნებადართული, დაჟინებით მოითხოვდა გაგრძელდეს ამერიკის ატომური იარაღის გამოცდა თითქოს „მშვიდობიანი მიზნებით“.

ტრუმენი, რომლის განცხადება გადასცა იუპის სააგენტომ, იცავდა სამხედრო ავანტიურისტების თეზისს, თითქოს ომის დაწყების შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს „ზეგ ღუდულ“ ომი ატომური იარაღის გამოუყენებლად.



უ ჩ ა ლ ო ლ ა ძ ე (სურათზე მარცხნივ) ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ბროლის მოწინავე მუშაა. ხოლო ეს გოგონა (მარჯვნივ) ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი ციცინო კობახიძეა. იგი დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტოები შ. ჩხეტიანისა.

უ მ ა გ ა ლ ი თ ო პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი ა ღ ი ა ვ ა ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

ყ ვ ე ლ ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა მ ო წ ი ნ ა ვ ე რ ო მ ი ყ ო ს...

შ. ჭ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე ,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

უმაგალითო პატრიოტული აღმავლობით ემზადება ჩვენი ქვეყანა კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის. ეს დღეები აღინიშნება დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, ახალი შრომითი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მთელი მსოფლიო შეძრა შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ეპოქალურმა დოკუმენტებმა — საკპ პროგრამისა და წესდების პროექტებმა.

პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ მძლავრ მრეწველობასთან ერთად, აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა. პროგრამით დასახული განადიდოს ულენინური პერსპექტივები ახალი შრომითი სიგმირეს საქმეებისათვის შთაგონებს და აღაფრთოვანებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ისინი დაძაბულად მუშაობენ შვიდწლედის ახალი ზოუდეების ასაღებად.

მარტო 1960 წელს ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფოს მიეყიდა 157 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ანუ 17 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1959 წელს. საგრძნობლად გაიზარდა ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. საქართველოს მშრომელებმა შექმნეს მრავალწლიანი კულტურების მაღალშემოსავლიანი საამაყო მეურნეობები. აქამდე ჩაის კულტურას, ბაღვენახებს, ციტრუსებსა და დაფნის პლანტაციებს რესპუბლიკაში 300 ათას ჰექტარამდე ფართობი უჭირავს. ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შენდება ამ ძვირფასი მრავალწლიანი კულტურების ახალი პლანტაციები.

ა ბ რ ა მ , სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მოპოვებულ მიღწევებში გადამჭრელი როლი ეკუთვნით მოწინავე რაიონებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — ჩვენი სოფლის მეურნეობის შუქურებს, როგორც მათ ხატოვნად უწოდებს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა შეწყობილად რომ მუშაობდეს და მოწინავეებს უსწორებდეს მხარს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდია. სოფლის მეურნეობის გაძღოლის საქმე, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ ბევრგან შეუწყნარებლად ჩამორჩება.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქაში შევიდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების დაწინაურებას. „თავი ინ ორგანიზატორული მუშაობით და ეკონომიური პოლიტიკის ღონისძიებებით პარტია იბრძოლებს იმისათვის, — ნათქვამია სკკპ პროგრამის პროექტში, — რომ უახლოესი წლების განმავლობაში სავსებით დაძლიოს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენა და გადააქციოს ყველა კოლმეურნეობა ეკონომიურად მძლავრ კოლმეურნეობებად, რომლებსაც დიდი შემოსავალი ექნებიან“.

ასე აყენებს პარტია ამოცანას. ამ ამოცანის შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი მუშაობა გასწიეს.

შეიფერთო მთელმა რიგმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეძლეს მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესება, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა და მათი დაწინაურება. პირველ რიგში ასეთებს მიეკუთვნებიან წინათ ჩამორჩენილი ახალციხის, ქარელის, ახალქალაქის, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ქედის, ზუგდიდის, ხულოს და სხვა რაიონები, ამ რაიონების ბევრი კოლმეურნეობა.

განხორციელდა ღონისძიებანი წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავე, ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შეერთებისა და ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნისათვის.

კოლმეურნეობებში — ამ უკანასკნელი წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენის დაძლევა მუშაობის ორგანიზებულად წარმართვის პირობებში სავსებით შესაძლებელია. ამის ნათელი დადასტურებაა შუახევის, ქედის, ხულოსა და ახალციხის რაიონების კოლმეურნეობების მაგალითები.

ავიღოთ, მაგალითად, ხულოს რაიონი, რომელიც განსაკუთრებით მაღალმოიანია, უკანასკნელ წლებში ამ რაიონმა დიდად გააუმჯობესა მუშაობა, კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა მექანიზაციის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. უკანასკნელ ხუთწლეულში ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა ფულადი შემოსავალი, რომელმაც 1960 წელს 17,753 ათასი მანეთი შეადგინა, საშუალოდ ჰექტარზე ფულადი შემოსავალი 1955 წლის 824 მანეთიდან 1960 წელს 1.678 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შრომადღის ფულადი ხვეული — 3 მანეთ და 5 კაპიკიდან 8 მანეთამდე. რაიონის 34 კოლმეურნეობიდან მხოლოდ ერთია ისეთი, სადაც 1960 წელს საშუალოდ 5 მანეთზე ნაკლები (ძველი ფულით) გაიცა ერთ შრომადღეზე.

ეს მაშინ, როდესაც გაცილებით უკეთესი პირობების მქონე მაიაკოვსკის რაიონში 12 ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა, ვანის რაიონში — 16, ზნაურის რაიონში — 22 და ა. შ.

ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები ბევრია აგრეთვე საგარეჯოს, მცხეთის, ყვარლის, ზესტაფონის, სამტრედიის, ობაშის, გალის და ზოგიერთ სხვა რაიონში, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობა მოწინავე იყოს. მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც 916 ჰექტარი სარწყავი მიწა აქვს, შარშან საშუალოდ ჰექტარზე 8,4 ცენტნერი ხორბალი და 7,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ჰექტარი ვენახის მოსავლიანობა 9,9 ცენტნერ ყურძენს არ აღემატებოდა. ერთი ძროხის წველადობამ კი 228 ლიტრს ძლივს მიაღწია. კოლმეურნეობაში 42 შრომისუნარიან კოლმეურნეს 1960 წლის განმავლობაში არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. მთელი ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებზე გაცემულია მხოლოდ 52 ათასი მანეთი ანუ 7 პროცენტი, ხოლო შრომადღის ღირებულებამ ძველი ფულით 2 მანეთი და 32 კაპიკი შეადგინა.

მსგავსი მდგომარეობაა გალის რაიონის სოფელ ოტობაიის კოლმეურნეობა „მშრომელ გლეხში“, რომელიც 235 კომლს აერთიანებს და 404 ჰექტარი სახნავ-სთესი მიწა აქვს. შარშან ამ კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 5,8 ცენტნერი სიმინდი მიიღო. მოუვლელობით გაფუჭდა თამბაქოს პლანტაცია, რის გამო ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ მხოლოდ 1,2 ცენტნერი შეადგინა, ჰექტარზე მიღებული 3,7 ცენტნერი ბოსტნეული, ხოლო ერთი ძროხის წველადობა 227 ლიტრს არ აღემატებოდა. ამ კოლმეურნეობაში ცუდი ხელმძღვანელობის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე ისე დაეცა, რომ 100 ჰექტარ საკარგულებზე შარშან მიღებულ იქნა სულ რაღაც 2,3 ცენტნერი ხორცი და 10 ცენტნერი რძე. დაბალია შრომის ფისიკიპლინა. 44 შრომისუნარიან კოლმეურნეს შარშან არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. ყოველივე ამის შედეგად შრომადღეზე ფული სრულიად არ განაწილებულა, უმნიშვნელო ოდენობით გაიცა სიმინდი.

აბა რით შეიძლება აეხსნათ აღნიშნულ კოლმეურნეობათა ჩამორჩენა, თუ არა სუსტი ხელმძღვანელობით?!

ცოტა როდია იმის მაგალითი, როცა ერთ დროს ჩამორჩენილი მეურნეობა ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებით მოკლე ხანში ფეხზე დადგა და არაფუ დაეწია მოწინავეებს, არამედ კიდევაც გაუსწრო მათ.

ბ ო ნ ი ლ ი ა , რომ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველო“ რამდენიმე წლის წინათ რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა. იგი მოკლებული იყო საშუალებას დაეფარა სახელმწიფო ბანკის დავალიანება, არაფერი არ ნაწილდებოდა შრომადღეებზე. პარტიის ზუგდიდის რაიკომი დაინტერესდა კოლმეურნეობის მუშაობით, განამტკიცა იგი კვალიფიციური კადრებით, უზრუნველყო მატერიალური წახალისების ღონისძიებათა გაბედულად დანერგვა. წესრიგი დაამყარა ანგარიშსწორებში. და კოლმეურნეობაც აღმავლობის გზას დაადგა. ახლა კოლმეურნეობა „საქართველო“ რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებშია.

აი კიდევ მეორე მაგალითი. ქარელის რაიონის სოფელ მოხისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა წინათ შეუწყნარებლად ჩამორჩებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საკოლმეურნეო წარმოებას სათავეში ჩაუდგნენ თავმჯდომარე გ. ლობჟანიძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანად ნ. სოტაშვილი, კოლმეურნეობამ საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა.

ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომაჩხაანის სტალინის სახელობის საკედლე-სანშენებელი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი წარმოება, რომელშიც ორი ათასამდე შრომისუნარიანი კოლმეურნე მონაწილეობს. შარშან კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 19,3 ცენტნერი ხორბალი, 15,4 ცენტნერი მზესუმზირა, 70 ცენტნერი ყურძენი. ერთ საფუძაე ძროხაზე მიღებულია 3.103 ლიტრი რძე, ერთ დედაღორზე — 12 გოჟი, ერთ ცხვარზე — 3,7 კილოგრამი მატყლი და კვერცხმდებელ დედალზე — 135 კვერცხი.

ზემომაჩხაანელებმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს 667 ტონა ხორცი, 1.408 ტონა რძე, 78,6 ტონა მატყლი, 363 ათასი ცალი კვერცხი, 528 ტონა მზესუმზირა, 422 ტონა ყურძენი და სხვა პროდუქტები, ფულადმა შემოსავალმა 13,8 მილიონ მანეთს მიაღწია (ძველი ფულით) და 1,3 მილიონი მანეთით გაიზარდა 1959 წელთან შედარებით. 1960 წელს ერთმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საზოგადოებრივ წარმოებაში საშუალოდ 374 შრომადღე გამოიმუშავა. ზემომაჩხაანელი კოლმეურნეები თავიანთ სარჩოს მთლიანად საზოგადოებრივი მეურნეობიდან იღებენ. ისინი უზრუნველყოფილი არიან საკოლმეურნეო პროდუქტებით. ყველა კოლმეურნეს შეუძლია კოლმეურნეობის საავეჯოში იყიდოს რძე თავისი პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, ბანოთი, ელექტროგანათებით. ყველა ოჯახი რადიოფიცირებულია.

ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი მეცხოველეობის განუხრელი ზრდისა და განმტკიცების შედეგად კოლმეურნეებმა ზედმეტად ჩათვალეს პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლა. ან რათ უნდათ პირად საკუთრებაში ჰყავდეთ ძროხები, როცა საშუალოდ თვითეულ კომლზე 3 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 30 სული ცხვარი მოდის. ამრიგად, სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება სავსებით უპასუხებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტით დასახულ გზას.

განუწყვეტლივ იზრდება მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რიგები. ჩვენში ახლა ვინ არ იცნობს ჩუმლაყის, აკურის, ჯაფარიძის, ხიდისთავის, ნარანგების, შარმის, ბობოყვათის, ფურიფშის და სხვა მოწინავე კოლმეურნეობათა სასახელო შრომის საქმეებს.

ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი რაიონის, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკის საკითხებს, მთლიანად ვერ იყენებენ რეზერვებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

ეს პირდაპირ შეეხება ვანის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს. კოლმეურნეობებში ყოველწლიურად კლებულობს საშუალო მოსავლიანობა. შემცირდის ნაცვლად ყოველწლიურად იზრდება ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების რაოდენობა. არასაკმაოდ იზრდება საზოგადოებრივი მეურნეობა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, მეცნიერებისა და სოფლის მეურეობის სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიმუშავეს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიური აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი და იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ამ ვალდებულებებით გათვალისწინებულია. უკვე მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიეყიდოს 18 ათასი ტონით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო 1965 წელს 30 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით არის განსაზღვრული, ასევე ციტრუსების შესყიდვა გადიდდება 65 ათას ტონამდე ნაცვლად 1961 წლის გეგმით ნავარაუდევი 30 ათასი ტონისა. ყურძნის შესყიდვა გაიზრდება 350 ათას ტონამდე ნაცვლად 1961 წლის გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ტონისა. ასევე გაიზრდება ხეხილის, დაფნის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება და შესყიდვა.

ამ დიდი ვალდებულებისა და კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტით უახლოესი ოცი წლისათვის დასახული გეგმების წარმატებით შესრულება გადაჭრით მოითხოვს მუშაობის ახლებურად გარდაქმნას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტემპების შემდგომ ამაღლებას, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამას წინათ განიხილეს საკითხი ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ ზნაურის, ჯავის, ლენინგორის, ჭიათურის, ონის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ობაშის, ვანის, მაიაკოვსკის და ზოგიერთ სხვა რაიონებში ბევრია ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები, რაც გამოწვეულია მეურნეობებისადმი სუსტი ხელმძღვანელობით. არის მიწის სავარგულების, მექანიზმების და გამწევი ძალის არასწორად გამოყენების ფაქტები, საზოგადოებრივი მეურნეობის საზიანოდ პირადი მეურნეობის გაბერვის შემთხვევები და სხვა დარღვევები.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახეს ჩამორჩენილ მეურნეობათა მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ძირითადი შემოსავლიანი დარგების სწორად განლაგებასა და განვითარებას. საჭიროა სამეურნეო წლის დამთავრებამდე გულდასმით შევისწავლოთ და წლიური ანგარიშების შედგენა-განხილვასთან დაკავშირებით მოვაწყოთ წვრილ კოლმეურნეობათა გაპატარა გამსხვილება, ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავე კოლმეურნეობებთან შეერთება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1961 წლის 1 იანვრისათვის 104 კოლმეურნეობა ითვლებოდა. საშუალოდ თვითეულ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 124 კომლი. ბევრ კოლმეურნეობაში 21-50 კომლზე მეტი არ ირიცხება, მაშინ როდესაც შეიძლება მათი გამსხვილება და ამ გზით მეურნეობის უკეთ წარმართვა, ოლქის 104 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან მხოლოდ 13-ს აქვს უმაღლესი განათლება. საგულისხმოა, რომ 69 კოლმეურნეობაში მხოლოდ 6 აგრონომი, 43 აგრონომენაკოსი, 30 ტექნიკოსი მეცხოველე და 5 ვეტფერშალი მუშაობს. 36 კოლმეურნეობაში კი სრულებით არ არის სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

სწორედ ესეც არის იმის მიზეზი, რომ კოლმეურნეობების დიდი ნაწილი ჩამორჩენილი და ეკონომიურად სუსტია. ეს ნათლად ჩანს ზნაურის რაიონის მაგალითზე. ამ რაიონის ზივლეთის სასოფლო საბჭოში 3 კოლმეურნეობაა. სოფელ ზივლეთის კოლმეურნეობაში ითვლება 83 კომლი, სოფელ ვეღებისაში — 158, ხოლო ქვათეთრის კოლმეურნეობაში — 103 კომლი, სულ 344 კომლი. სამივე კოლმეურნეობას აქვს 3,680 ჰექტარი მიწა, მათ შორის 2 ათასი ჰექტარი სახნავი, 74 ჰექტარი ვენახი და 12,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებს კარგი მიწები აქვთ და მთელი ფართობის დამუშავება მექანიზმებით შეიძლება, სამივე არტელი შეუწყნარებლად ჩამორჩება. არც ერთ კოლმეურნეობაში არ არის სპეციალისტი, ხოლო არტელის თავმჯდომარეები და ანგარიშწარმომის მუშაკები თავს ვერ ართმევენ საქმეს. საარტელო მეურნეობის განვითარების ინტერესები მოითხოვს სამივე კოლმეურნეობა გაერთიანდეს ერთ მსხვილ კოლმეურნეობად.

ისეთ დგომარეობას, როგორიც ზნაურის რაიონშია, სხვა რაიონებშიც ვხვდებით. საჭიროა ამ საკითხის გულდასმით შესწავლა და სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი უკანასკნელ ხანებში დიდ ღონისძიებებს ახორციელებს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების დაწინაურებისა და გაძლიერებისათვის. საჭიროა ეს მუშაობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს.

ჩ ვ ე ნ ი გადაუდებელი ამოცანაა ყურადღებით შევისწავლოთ საკოლმეურნეო კადრები, ჩამორჩენილ, ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად და ბრიგადირებად წამოვაყენოთ საკოლმეურნეო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები როგორც რაიონული აქტივის შემადგენლობიდან, ისე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიგებიდან.

საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი ძალაა პირველადი პარტიული ორგანიზაცია, სწორედ ამიტომ პარტიის რაიკომები ყველა ზომას უნდა იღებდნენ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

კოლმეურნეობათა ერთი ნაწილის ჩამორჩენის მიზეზი ისიც არის, რომ დაბალია შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში, ბევრგან მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა-ანგარიშგება. არის საკოლმეურნეო შემოსავლი ხელგაშლილად ხარჯვისა და განაოვების შემთხვევები,

სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა განუხრელად დაიცვან არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ეს დიდი კანონი. ამ მიზნით საჭიროა გავაძლიეროთ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მუშაობა, დავახმაროთ მათ სპეციალისტები, ეკონომისტები და ბუხჰალტრები დოკუმენტალური რევიზიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ეს საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში ყოველი კვარტალის ბოლოს საერთო კრებაზე ხდებოდეს დოკუმენტალური რევიზიის შედეგების გულდასმით განხილვა.

შვიდწლედის მესამე წლის ვალდებულებათა განაღდებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მიუხედავად რთული მეტეოროლოგიური პირობებისა, წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში და ხარისხიანად ჩატარდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენმა მესიმინდეებმა. სიმინდის საუკეთესო მოსავალს მოელიან აბაშის, ბარნეულის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ყვარლის, მახარაძის, ლაგოდეხის, ხობის, ზუგდიდის, თელავის, ახმეტის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. 60 და მეტი ცენტნერი სიმინდის მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში ჩაბმული არიან ასობით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები და რგოლები, ცალკეული კოლმეურნეები.

ლ ი დ ი გამოცდის წინაშე დგანან რესპუბლიკის მეჩაიეები. სექტემბერში თითქმის ყველა რაიონში დაეცა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. მეჩაიეთა პატრიოტული მოვალეობაა ყოველნაირად გაძლიერონ მუშაობის ტემპები. საჭიროა უზრუნველყოთ შემოსული ფოთლის განუწყვეტლივ, ყოველგვარ ამინდში კრეფა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ნაკისრი ვალდებულების განაღდება.

კარზე მომდგარია რთველი. მალე მესობრიგად გაჩაღდება ყურძნის კრეფა. მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითს აღმავლობას, ყველაფერი გააკეთონ ყურძნის კრეფისა და დამზადების ვალდებულებათა წარმატებთ შესრულებისათვის.

მიმდინარე წელს ზოგიერთ რაიონში გვაღვენეთ გამოწვეული ზარალი მრეთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პირუტყვის საკვების, განსაკუთრებით სილოსის დამზადების გეგმების და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას, მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ტემპების გაძლიერებას.

მაგრამ ამ ამოცანებს წარმატებით ვერ გადავწყვეტთ, თუ შემდგომ არ გავუფაჯრობესებთ სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას. საჭიროა პარტიკომის ბიუროს სხდომებზე და პლენუმებზე სისტემატურად განვიხილავდეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების და სასოფლო საბჭოების მუშაობის საკითხებს, ვიზმარებოდეთ მათ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებაში. დიდი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კოლმეურნეობაში შრომის კომპლექსური მექანიზაციის დასანერგავად, რათა მიმდინარე შვიდწლედში მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების სულ მცირე 2-ჯერ გადიდება. ეს იქნება პირველი ნაბიჯი პარტიის პროგრამის პროექტით დასახული დიდი ამოცანის შესასრულებლად, რომლის მიხედვითაც ოც წელიწადში შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში 5-6-ჯერ უნდა გაიზარდოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მძლავრი შრომითი აღმავლობა, მათი ურყევი დარაზმულობა ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო იმის მტკიცე საწინდარია, რომ ქართველი მეჩაიეები და მესიმინდეები, მევენახეები და მეცხოველეები, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი ღირსეულად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი გამარჯვებებით შეეგებიან სკკპ XXII ყრილობას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ყრილობას.

პ ა ს უ ხ ი მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა შ ე კ ი თ ხ ვ ებ ზ ე

ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს , თ ვ ი თ ე უ ლ ი ს ინ ჟ ე რ ე ს ებ ი ს ა თ ვ ი ს

ზოგიერთი მკითხველი გვეკითხება, რა მდგომარეობა იქნება კომუნიზმის დროს კერძო საკუთრების მხრივ. ისინი გვთხოვენ რაც შეიძლება დაწვრილებით გავაშუქოთ ეს პრობლემა, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, მოპყავთ სხვადასხვა მაგალითები და ფაქტები ცხოვრებიდან.

ჩვენ მივმართეთ აკადემიკოს ს. გ. სტრუმილინს და ვთხოვეთ პასუხი გაეცა ამ შეკითხვებზე.

შეკითხვა ვ. გრუშინისა (კიევი): პარტიის პროგრამის პროექტიდან გამომდინარეობს, რომ კომუნიზმის დროს განუზომლად გაიზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პირადი საკუთრების ბევრი ფორმა გაქრება?

— საზოგადოებრივი ფონდების ზრდა სრულებითაც არ გამორიცხავს პირად საკუთრებას. ამჟამად საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო საკუთრებასთან ერთად არსებობს მოქალაქეთა პირადი საკუთრებაც, რომელსაც კანონი იცავს, აგრეთვე, მართალია, ფრიად უმნიშვნელო ოდენობით, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება ერთპიროვნულ მეურნეთა წვრილ გლეხურ მეურნეობებში. კომუნიზმზე გადასვლის მიხედვით საკოლმეურნეო საკუთრება თანდათან შეერწყმის საერთო-სახალხო საკუთრებას, კერძო საკუთრების უკანასკნელი ნაშთები გაქრება.

რაც შეეხება პირად საკუთრებას, მასშიც მოხდება ცვლილებები. რაც უფრო გაიზრდება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საზოგადოებრივი ფონდებიდან, თანდათანობით მოკვდება პირადი საკუთრების ის ობიექტები, რომლებიც ამჟამად ჯერ კიდევ წარმოადგენენ ოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დიდნიშვნელოვან წყაროს. მაგრამ, ცხადია, პირადი საკუთრების კვდომა უსაზღვრო როდია: კომუნიზმის პირობებში ადამიანს ექნება პირადი, მარტო მისი კუთვნილი ნივთები და საგნები, რომლებიც აუცილებელია მოხერხებული, სრულფასოვანი, კულტურული ცხოვრებისათვის.

შეკითხვა ა. გუზეევისა (მოსკოვი) და კ. ლედოვისა (ციროვის ოლქი): როგორი მდგომარეობა იქნება საკუთარი ავტომანქანების, აგარაკების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნეების საკარმიდამო ნაკვეთების მხრივ. ხომ არ დადგა დრო მასობრივად ვთქვათ მათზე უარი? იქნებ სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს პირადი ავტომანქანები და აგარაკები?

— თქვენ ამ ღონისძიებებს აყენებთ, შესაძლოა, საუკეთესო განზრახვით, მაგრამ რაკი საკარმიდამო ნაკვეთებს იხსენებთ, უადგილო არ ჩქნება გიპასუხოთ ასეთი ანდაზის სიტყვებით: „ყოველი ხილი თავის დროზე შემოვაო“. ისეთი „ქირურგიული“ ოპერაციები, როგორსაც თქვენ აყენებთ პირადი საკუთრების მიმართ, ჩვენში მიუღებელია. ასეთ საკუთრებაზე უარისათვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი აუცილებელი პირობები და წანამძღვრები. პირადი საკუთრების ამ ობიექტების კვდომის პროცესი იწარმოებს ბუნებრივად და უმტკივნეულოდ საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლებასთან ერთად. აქვე უნდა ითქვას, რომ პროგრამის პროექტში გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის ავტომანქანების გამოშვების მნიშვნელოვანი გაფართოება. კოლმეურნეს აქვს საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დამატებით წყაროს წარმოადგენს, ვინაიდან კოლმეურნეობას ჯერჯერობით არ ძალუძს ყველაფერი მიაწოდოს მას სრული ზომით.

მაგრამ საერთოდ რომ ვთქვათ, პირადი საკუთრების ამ ობიექტებს მომავალი არა აქვს. საკუთარ ავტომანქანებზე, აგარაკებზე, საკარმიდამო ნაკვეთებზე ადამიანები თვითონ იტყვიან უარს როგორც ზედმეტ ბარგზე, მაშინ, როცა საუკეთესო, ულამაზეს ადგილებში შეიქმნება თანამედროვე პანსიონატები ყველა მოხერხებული პირობით — ცალკე ოთახებით, იახტებით, სასეირნო მოტოროლერებით, საექსკურსიო ვერტმფრენებით და სხვ., როცა საზოგადოებრივ გარაჟებში მგზავრების მოლოდინში ჩამწკრივდება სხვადასხვა მოდელებისა და ფერის ჩინებული ავტომანქანები (ამორჩევ რომელიც მოგწონს!), მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სრული ზომით მიიღებს „ჩვენიდან“, ადამიანი ხალისით იტყვის უარს „თავისაზე“.

კომუნიზმის დროს ავტომობილები, დასასვენებელი ადგილები და სხვა საგანი უფასოდ მიეცემა ყველას საჭიროების მიხედვით დროებით თუ მუდმივ სახმარად. მაგალითად, ავტოსპორტის ოსტატებს შეიძლება მიეცეთ ავტომობილები საწვრთნელად პერსონალური სარგებლობისათვის. მაგრამ ახლა ნუ შევეცდებით დეტალურად და დაწვრილებით წინასწარ განვსაზღვროთ მომავლის საზოგადოების ყოფა. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამ საზოგადოების მოქალაქენი ყველა შემთხვევაში გამონახავენ გონივრულ და მიზანშეწონილ გადაწყვეტას.

შეკითხვა პ. პავლოვისა (ტალინგრადი): განა საკვირველი არ არის, რომ ზოგნი, რომლებიც არსად არ მუშაობენ ან თვეში 80-100 მანეთს იღებენ, უზარმაზარ აგარაკებსა და სახლებს იშენებენ? როგორ მოვიქცეთ ასეთ „პირად მესაკუთრეთა“ მიმართ?

— ერთმა გონებამახვილმა ფრანგმა, თავისი ბურჟუაზიული ეპოქის ზნე-ჩვეულებას რომ აკვირდებოდა, კითხვა

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ვოსკოვი, 3 სექტემბერი. (საკდესი). 2 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობის სახელით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მათ 26 აგვისტოს ნოტებზე. დასავლეთის სახელმწიფოთა ნოტები შეიცავდა მტკიცებას, თითქოს გერმანიაში საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებით დასავლეთის სახელმწიფოებს მინიჭებული ჰქონდათ უფლება განუსაზღვრელად ესარგებლათ საჰაერო კორიდორებით ბერლინში ფრენისათვის.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ნათქვამია, რომ საკონტროლო საბჭოს არ მიუღია რაიმე ოთხმხრივი გადაწყვეტილება უკონტროლო კომერციული საავიაციო ტვირთზიდვის შესახებ საჰაერო კორიდორებით ან ამ კორიდორებით რომელიმე გერმანელი პერსონალის ან იმ პირების ტრანსპორტირების შესახებ, რომლებიც არ არიან სამი სახელმწიფოს საოკუპაციო ხელისუფალთა სამსახურში, მით უმეტეს დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა და მილიტარისტების ტრანსპორტირების შესახებ, და ასეთი გადაწყვეტილებები ბუნებაში არ არსებობს.

სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნულია ნოტაში მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად ამჟამად ახორციელებს საოკუპაციო ფუნქციებს დასავლეთ ბერლინში, ბოლო მოუღოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უკანონო და პროვოკაციულ მოქმედებას ამ ქალაქში. ნოტაში აღნიშნულია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა მრავალი წლის მანძილზე თავიანთი მოქმედებით დაანგრიეს ბერლინის ოთხმხრივი სტატუსი, გადაქცეს დასავლეთი ბერლინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ დივერსიული, ჯაშუშური საპაულაციური და სხვა ძარგამომთხრელი საქმიანობის ბაზად.

ნოტაში კვლავ დადასტურებულია, რომ სსრ კავშირის მთავრობას განზრახული არა აქვს შეზღუდოს დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო ურთიერთობა საერთოდ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, კერძოდ. დასავლეთ ბერლინს, როგორც თავისუფალ ქალაქს, საზღვო ხელშეკრულების დადების შემდეგ უფლება და შესაძლებლობა ექნება დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა იქონიოს ყოველ ქვეყანასთან. ამ უფლებას საფუძვლად ექნება სათანადო შეთანხმებანი იმ ქვეყნების მთავრობებთან, ელჩთა ტერიტორიაზე გაიგზავნის მისი კომუნიკაციები.

საბჭოთა მთავრობამ გააფრთხილა დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები რომ მათ ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროვოკაციული მოქმედების განგრძობის შესაძლო შედეგებისათვის.

პარიზში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პარიზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საფრანგეთის მხრივ მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ჟ. მ. ჟანენე და საფრანგეთის შინაგანი ვაჭრობის სტატისმდივანი ფ. მისოფი, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და სხვ.

მაქს რაიმანის გამოსვლა რადიოთი

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რომელიც გამოვიდა „დოიჩერ ფრაიჰაიტსზენდერ 904“ რადიოთი იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა მოაწყოს ატომური იარაღის გამოცდა, განაცხადა: „საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება გარდაუვალი პასუხია იმპერიალისტების ჯოჯოხეთურ თამაშზე, რომელნიც უკვე მთელი რიგი წლების მანძილზე მონაწილეობენ მოლაპარაკებაში მხოლოდ ხალხთა ზეგავლენით, მაგრამ უარყოფენ ყოველგვარ შეთანხმებას, რათა კიდევ უფრო გააძლიერონ გამალებული შეიარაღება“.

ახლა საბჭოთა კავშირმა ომის გამჩაღებლებს გადაუღობა ომის გზა, ხაზი გაუსვა მ. რაიმანმა.

„მთელმა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ, და განსაკუთრებით გერმანელმა ხალხმა, დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ იგი ამხილებს იმპერიალისტების უსაზღვრო თვალთმაქცობას, იმპერიალისტების ფარულ მზადებას ატომური ომისათვის და არა სურს პასიურად ელოდოს იმ დღეს, როცა კაცობრობას თავს დაატეხენ კატასტროფულ ომს“, — აღნიშნა მ. რაიმანმა.

ამ ამბებთან დაკავშირებით, განაცხადა მ. რაიმანმა, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს დასავლეთგერმანელ მოსახლეობას: ნუ შეურიგდებით იმას, რომ ჩვენს მიწაწყალზე იქმნება ატომურ-რაკეტული ბაზები, ხორციელდება ატომური შეიარაღება, რომელიც საფრთხეს უქმნის დასავლეთგერმანელი მოსახლეობის სიცოცხლეს. ამიმრჩევლებმა ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში მხოლოდ იმ კანდიდატებს უნდა მისცენ ხმა, რომლებიც სიტყვითა და საქმით იბრძვიან რევანშიზმისა და ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ, იბრძვიან მშვიდობისათვის, განიარაღებისა და გერმანიის ნეიტრალიტეტისათვის.

საჭირო გადაწყვეტილება

პეკინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). მუშები, გლეხები და მოსამსახურეები—მთელი მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხი მხარს უჭერს და იწონებს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქების მოწყობის შესახებ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ეს გადაწყვეტილება მიიჩნიათ მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებად.

ჩინეთის მუშები მთელ ჩინელ ხალხთან ერთად მტკიცედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქების მოწყობის შესახებ, ნათქვამია დეპეშაში, რომელიც სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარემ ლუ ნინ-იმ გაუგზავნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. გრიშინს.

ეს გადაწყვეტილება, ხაზგასმულია დეპეშაში, შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს, ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, მან უნდა გამოაფხიზლოს ომის იმპერიალისტები.

ჩინეთის მუშათა კლასი და ჩინელი ხალხი, — წერს ლუ ნინ-ი, მუდამ იდგებიან მოძმე საბჭოთა ხალხის მხარდამხარ და მასთან ერთად იბრძოლებენ საყოველთაო განიარაღების საბოლოო განხორციელებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, აგრესიული ომების წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დასაცავად.

ჩინეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას მთელი მსოფლიოს მშვიდობის დასაცავად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

მდგომარეობა კონგოში

კაირო, 3 სექტემბერი. (საკდესი). კაიროში კონგოს დიპლომატიური მისიის პრეს-ატაშემ გ. მამპუნგამ 2 სექტემბერს გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გააკეთა განცხადება კონგოს პარლამენტის მოწვევისა და სირილ ადულას მეთაურობით ახალი მთავრობის შექმნის გარემოებათა შესახებ.

„თავისი სხდომების დასაწყისშივე, თქვა მამპუნგამ, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარა კანონიერად მთავრობა, რომელსაც წინათ პატრის ლუმუმბა მეთაურობდა, აგრეთვე მხარი დაუჭირა იმას, რომ საჭიროა დაიწყოს ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნა, რომელიც უნდა მოიწონოს კონგოს პარლამენტმა.

მიუხედავად შეთანხმებისა პარლამენტის სხდომების დახურული წესით მოწყობის შესახებ, მისი კარი ღია იყო ანტიპატრიოტული ელემენტებისათვის, რომლებმაც გააჩაღეს ცილისმწამებლური კამპანია კონგოელი პატრიოტების წინააღმდეგ. ამ ელემენტებმა გავლენა მოახდინეს პარლამენტის ზოგიერთ წევრზე, რასაც მოჰყვა ეროვნული ფრონტის გათიშვა, ამ გათიშვის შედეგად, განაცხადა მამპუნგამ, კონგოელი პატრიოტები იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ მთავრობაში მონაწილეობაზე, რათა თავიდან აეცილებინათ ზიანი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ შეიქმნებოდა ანტიეროვნული მთავრობა.

მამპუნგამ განაცხადა, რომ კონგოს ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ მისი პრემიერ-მინისტრი სირილ ადულა გაემგზავრა სტენლივილში ანტუან გიზენგასთან შესახვედრად. ამ შეხვედრის დროს მათ შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. კერძოდ, გადაწყდა იმ პირთა პასუხისმგებლობის დადგენა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების დახოცვაში, და გამოეცხადებინათ ლუმუმბა ეროვნულ გმირად, რომელიც დაიღუპა კონგოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; დადგენილ იქნა, რომ ადულას მთავრობა განაზორციელებს იმავე პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა პატრის ლუმუმბა.

კონგოს დედაქალაქი გადატანილ უნდა იქნეს სახელმწიფოს ტერიტორიის სიღრმეში და უნდა განხორციელდეს კონსტიტუციული ღონისძიებანი პრობლემების მოსაწესრიგებლად კატანგისა და ჩრდილოეთ კასაის პროვინციებში. გადაწყდა გამოცხადდეს კონგოს ახალი კონსტიტუცია მას შემდეგ, რაც კონგოდან გაიყვანენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს, მიიღონ შეთანხმებული ღონისძიებანი კონგოდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ევაკუაციისათვის, აგრეთვე მიიღონ ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას ზარალი, რომელიც მოუვიდა მობუტუს ქვეყანას.

სირილ ადულამ, თქვა შემდეგ მამპუნგამ, ანტუან გიზენგასთან ამ შეხვედრის შემდეგ არაერთგზის განაცხადა, რომ იგი განაგრძობს განსვენებული პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას პოლიტიკას.

„ჩვენი სიმპათიები ბრაზილიის ხალხის მხარეზეა“

ფ. კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 2 სექტემბერი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო 31 აგვისტოს რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა. იგი შეეხო ბრაზილიის მდგომარეობას. ახლანდელი კრიზისი ბრაზილიაში, თქვა მან, იმის შედეგია, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ერევა ბრაზილიის საშინაო საქმეებში.

ფიდელ კასტრომ ხაზი გაუსვა, რომ კუადროსი დამოუკიდებელ და სუვერენულ პოლიტიკას, მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო თანამშრომლობის პოლიტიკას ახორციელებდა. მაგრამ, რადგან ეს პოლიტიკა, განაგრძო მან, ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას, შეერთებულმა შტატებმა აიძულეს კუადროსი გადამდგარიყო და ამჟამად ყოველნაირად უწყობენ ხელს იმას, რომ ბრაზილიაში რეაქციული, ფაშისტური, ანტიხალხური რეჟიმი დამყარდეს.

ილაპარაკა რა ბრაზილიის ამბებზე, ფიდელ კასტრომ ხაზი გაუსვა, რომ დემოკრატიულმა, პატრიოტულმა და რევოლუციურმა ძალებმა, აგრეთვე კონსტიტუციის ერთგულმა სამხედრო პირებმა შეძლეს მოძრაობა წარემართათ კონსტიტუციის დასაცავად სწორი გზით და პირველი გამარჯვებანი მოიპოვეს. ჩაიფუშა რეაქციული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოამზადეს. ეს ჩაფუშვა, თქვა კასტრომ, შეიძლება მეორედ ჩაითვალოს, ინტერვენტების განადგურების შემდეგ კუბაში, ჩაითვალოს იმპერიალისტების დიდ დამარცხებად.

ფიდელ კასტრომ დასასრულ გამოთქვა კუბელი ხალხის ძმური სოლიდარობა ბრაზილიელი ხალხისადმი. —ჩვენი სიმპათიები, — თქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა, — ბრაზილიის ხალხის მხარეზეა“.



ბრაზილია. ვიცე-პრეზიდენტი გულარტი, რომელმაც კუადროსის გადადგომის შემდეგ კონსტიტუციის თანახმად უნდა დიაკავოს ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტი.

ბერლინი ცაზს უკრავს ტიტოვს

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტი მეფრინავე გ. ს. ტიტოვი, რომელიც ბერლინში იმყოფება, გუშინ საღამოს ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ოტო გროტეოვლს. გ. ს. ტიტოვთან ერთად იყვნენ ამხანაგი ვ. ულბრიხტი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი და გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი.

საბჭოთა კოსმონავტმა ამხ. გროტეოვლს გადასცა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის პირადი მისალმება. ოტო გროტეოვლსა და სტუმრებს შორის გულითადი საუბარი გაიმართა. გ. ს. ტიტოვმა მალე გამოჯანმრთელება უსურვა ო. გროტეოვლს.

ბერლინი, 2 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი პ. სპენინი იუწყება: დღეს დილით საბჭოთა კოსმონავტი გ. ს. ტიტოვი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პ. ფერნერი იყვნენ ბერლინის ელექტროაპარატურის ქარხანაში ტრეპტოვში. ბერლინში ამ დიდი სახალხო საწარმოს ფასადი მორთული ია ვ. ულბრიხტისა და გ. ტიტოვის პორტრეტებით. წითელ ქსოვილზე არის წარწერა რუსულად: „მეგობრობა“. ღია მანქანა, რომელიც სტუმრები არიან, მიადგა ქარხნის ჭიშკარს. გ. ს. ტიტოვს მხურვალედ მიესალმნენ და ყვავილების თაიგულები მიართვეს.

გ. ს. ტიტოვმა დაათვალიერა ხაზომი ხელსაწყოების და ამომრთველთა საამქროები. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ ქარხნის ხელმძღვანელები. მუშები გულითადად მიესალმნენ კოსმონავტს. გ. ს. ტიტოვთან მივიდა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ბრიგადის ხელმძღვანელი მარიამ მაცი. მან რუსულ ენაზე მიულოცა გ. ტიტოვს ვმირობა და საჩუქარი გადასცა.

შემდეგ გაიმართა საწარმოს ხელმძღვანელთა საუბარი გ. ს. ტიტოვთან. დირექტორმა ვ. რიმაშმა მოუთხრო სტუმრებს ქარხნის ისტორია. ქარხნის მშრომელთა მიტინგზე გამოსული ორატორები მხურვალედ მიესალმნენ მამაც კოსმონავტს.

მიკროფონთან მივიდა გ. ტიტოვი. კვლავ გაისმა მჭუხარე ტაში, შეძახილები: „მეგობრობა“. გ. ს. ტიტოვმა გერმანელ მუშათა კლასს საბჭოთა ხალხისა და თავისი კოსმონავტი მეგობრების დიდი სალამი გადასცა.

პ. ფერნერმა საპასუხო სიტყვაში სთხოვა გ. ტიტოვს გადასცეს საბჭოთა ხალხს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ თავიანთი რესპუბლიკის განსამტკიცებლად, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი აყვავებისათვის.

ქარხანაში ყოფნის შემდეგ სტუმრები მანქანით მოტოციკლისტების ესკორტის თანხლებით წავიდნენ ქალაქის ცენტრში. მანქანა, რომელშიც იყვნენ გ. ს. ტიტოვი, მ. გ. პერვუხინი და პ. ფერნერი, გაჩერდა ბრანდენბურგის ჭიშკართან, რომელზეც ამაყად ფრიალებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. იმ რაზმის მეთაურმა, რომელიც ამ უბანზე იცავს დასავლეთ ბერლინის საზღვარს, მიაორმა ბ. დამერაუმ [illegible] ცნობა გ. ს. ტიტოვს, [illegible] ქვედანაყოფი [illegible] ასრულებს დასახულ ამოცანას.

შემოვიდა გ. ს. ტიტოვი საბჭოთა სახელოვნო [illegible] ბერლინში —საბჭოთა დაუსრულებელი [illegible]

[illegible] **რი.** (საკდესი). გუშინ საღამოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ და ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტმა ბერლინის რატუშის შენობაში მოაწყვეს გერმანელ მეცნიერთა შეხვედრა გმირ კოსმონავტ გ. ს. ტიტოვთან დარბაზში შეიკრიბა რესპუბლიკის მეცნიერების რამდენიმე ასეული წამყვანი მოღვაწე. შეხვედრაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი და სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. პერვუხინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ჰარტკემ და ბერლინის უნივერსიტეტის რექტორმა კ. შრიდერმა კოსმონავტს მიმართეს მოკლე მისასალმებელი სიტყვებით.

დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს გ. ს. ტიტოვის გამოსვლა. როგორც მან აღნიშნა, კოსმოსური ფრენის მომზადებაში წამყვანი როლი შეასრულეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვმა. შემდეგ გ. ს. ტიტოვმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი დედამიწის გარშემო ფრენის შესახებ და უამბო ამ ფრენის მსვლელობაში მიღწეულ მეცნიერულ შედეგებზე.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვ. ი. იაზდოვსკი თავის სიტყვაში დაწვრილებით შეეხო საბჭოთა მეცნიერების მზადებას კოსმოსური ხომალდების გაშვებისათვის.

შეხვედრის დასასრულს გ. ს. ტიტოვმა და პროფესორმა ვ. ი. იაზდოვსკიმ უპასუხეს დამსწრეთა კითხვებზე.

* * *

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 2 სექტემბერს საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი ეწვია ელექტროაპარატურის ქარხანას ბერლინის ტრეპტოვის რაიონში.

სურათზე: ერთ-ერთი საამქროს მუშები მიესალმებიან საბჭოთა კოსმონავტს.

ფოტო ცენტრალბილდისა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

სერიოზული გაფრთხილება

პეკინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი შეიჭრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში საზღვარ რაიონში პინხაისა და შანვეის სამხრეთით გუანდუნის პროვინციაში.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის ამ პროვოკაციასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა ახალი სერიოზული გაფრთხილება.

„ლუმანიტეს“ ნომრის კონფისკაცია

ბარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით საფრანგეთის ხელისუფალთა ბრძანებით კონფისკაციებულ იქნა გაზეთი „ლუმანიტე“. კონფისკაციის საბაბი გახდა ზენიშნა კოლონიალისტების თარეშის შესახებ ალჟირში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში. ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი პაინც გადაიცა ცალობით გასაყიდად და გაეგზავნა ხელისმომწერთ.

ამერიკის სამხედრო გეგმები

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება ომის ისტერია. გაელვნიანი სამხედრო წრეები, მეცნიერები, რომლებიც ატომური იარაღის დამუშავებაზე არიან დასაქმებული, კონგრესმენები მოითხოვენ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგეს ატომური იარაღის გამოცდას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ იუწყება, რომ მთავრობა განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ ამერიკის ჯარების რიცხვი დასავლეთ ევროპაში გადიდდეს 35.000 კაცით. ამავე დროს განიხილავენ დასავლეთ გერმანიაში რამდენიმე საბრძოლო დივიზიის გადაყვანის გეგმას, რომლებიც შედის ამერიკის სტრატეგიული დანიშნულების საარმიო კორპუსში. ამ ჯარების განსალაგებელი ადგილები უკვე მომზადებულია. სამხედრო-საჰაერო ძალების ტაქტიკური დანიშნულების რამდენიმე შენაერთს გადაიყვანენ ევროპაში, თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანიაში მეშვიდე არმიის გაძლიერების შესახებ.

მთავრობის გეგმები, აღნიშნავს შემდეგ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“, ითვალისწინებენ, „თუ საჭირო იქნა“ ამ შემოდგომაზე ევროპაში გაგზავნონ ექვს დივიზიამდე და გაფართოონ სტრატეგიული დანიშნულების რეზერვი ეროვნული გვარდიის დივიზიების ხარჯზე.

ამერიკის დამატებითი კონტინგენტების გაგზავნის შედეგად, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ მოსალოდნელია გადიდდეს დასავლეთის სხვა ქვეყნების ჯარების რიცხვი, ნატოს შეიარაღებული ძალები ევროპაში განზრახულია გადიდდეს 22-დან 30 დივიზიამდე.

პასუხისმგებლობა საფრანგეთის მთავრობას ეკისრება

ბარიზი, 3 სექტემბერი. (საკდესი). ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ინფორმაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება სისხლისმღვრელი ამბების შესახებ, რომლებიც უკანასკნელ რამდენიმე დღეს მოხდა ალჟირში, და კერძოდ, ქალაქებში ორანში, ალჟირსა და ბონში, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ტუნისიდან.

„ულტრაკოლონიალისტები, — ნათქვამია ამ განცხადებაში, — კვლავ ცდილობენ აამხედრონ ევროპის მოსახლეობა ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ, რისთვისაც მიმართავენ მკვლელობებსა და პროვოკაციებს.

ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა გმობს კოლონიალისტური ბარბაროსობის ამ ახალ გამოვლინებას და მსოფლიო საზოგადოებრობის ყურადღებას მიაპყრობს ამ გენოციდს, რომლისთვისაც პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება საფრანგეთის მთავრობას“.



გუნდესვერი ინგლისში

„ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“,— ამბობენ ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებლები. ჰიტლერი აპირებდა ისე მოეკალათნა ინგლისის ციხე-სიმაგრეში, როგორც თავის ბერლინის რაიხსკანცელარიაში, მაგრამ აღმოსავლეთის ფრონტმა შეუშალა ხელი. ის, რაც ვერ შეძლეს ფიურერმა და მისმა გენერლებმა, შეძლეს ადენაუერმა და გადარჩენილმა ჰიტლერელმა მეომრებმა: ბრიტანეთის მმართველებმა თვითონ გააღეს თავიანთი „ციხე-სიმაგრის“ კარი და შეუშვეს ბუნდესვერელები ინგლისურ სახლში. 84-ე სატანკო ბატალიონის ბუნდესვერელები, რომლებიც ამ დღეებში ინგლისში გადასხდნენ (ზემო ფოტოსურათი) ღრეჭით ეუბნებიან ინგლისელებს: „სახლი შენია, ციხე-სიმაგრე —ჩემი“. „დასავლეთ ბერლინის გამო ომი წარმოუდგენელი სისულელეა“, — ასე მიაჩნია დასავლეთ ევროპის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი კი მზად არის იომოს „საფრონტო ქალაქისათვის“ უკანასკნელ ამერიკელ ჯარისკაცამდე, უკანასკნელამდე იმ ჯარისკაცთაგან, ვინც დასავლეთ ბერლინის ქუჩებში დააბიჯებს (ქვემო ფოტოსურათი).

ფოტო ინგლისურ გაზეთ „დეილი უორკერიდან“ და დასავლეთ გერმანულ ჟურნალ „დერ შპიგელიდან“.

გელგრადის კონფერენციაზე

ბელგრადი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბლოკებსმიუმხრობელი ქვეყნების ბელგრადის კონფერენციის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია ღონის წესრიგის საკითხებზე.

სიტყვები წარმოთქვეს ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიემ და განის პრეზიდენტმა ნკრუმამ.

მოკლე შესვენების შემდეგ სხდომაზე წაიკითხეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება კონფერენციისადმი, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს. კონფერენციაზე წაიკითხეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახელმწიფო მოღვაწეებისა და ორგანიზაციების მისალმება.

შემდეგ გამოვიდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ და კუბის პრეზიდენტი ო. დორტიკოსი.

ბელგრადი, 3 სექტემბერი. (საკდესი). ბლოკებსმიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის 2 სექტემბრის საღამოს სხდომა დაიწყო ლიბანის პრემიერ-მინისტრის სალამის გამოსვლით. მან განაცხადა, რომ დადგა დრო განხორციელდეს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია და აღმოიფხვრას კოლონიალიზმი.

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს-სუვე

კოსმონავტის კაბინაში

კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთის“ და „აღმოსავლეთი-2“-ის გაფრენა ახალი ისტორიული გამარჯვებაა მთვარის, მარსის, ვენერისა და სამყაროს კიდევ უფრო შორეულ სიღრმეთა მიღწევაზე საუკუნეობრივი ოცნების განხორციელების გზაზე. ი. გაგარინისა და გ. ტიტოვის გმირობას ვერ შეედრება ვერაფერი, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა, ვერ შეედრება ვერც კოლუმბისა და მაგელანის გმირობა. ბუნების უაღრეს საიდუმლოებათა დაუფლება გაადიდებს ადამიანის ბატონობას ბუნების ძალებზე და გამოუენებული იქნება დედამიწაზე ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა პლანეტებზე, მოგზაურობა უშიშარი, გასართობი გასეირნება იყოს როგორც ეს დახატულია ზოგიერთ ფანტასტიკურ რომანში. სპლანეტათშორისო მოგზაურობათა პრობლემა ძალიან დიდი, რთული და ჭეშმარიტად გრანდიოზული საქმეა. და თუ საბჭოთა ხომალდებზე, რომლებმაც მშვიდობიანად მოაწყეს პირველი კოსმოსური რეისები მარშრუტით დედამიწა-კოსმოსი-დედამიწა, შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ადამიანის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა, ეს არის საბჭოთა ადამიანების დიდი ღონისძიებების, გამჭრიახობისა და გმირობის შედეგი, საბჭოთა მეცნიერული და კონსტრუქტორული აზრის უდიდესი მიღწევა.

კოსმოსური ხომალდის ადამიანისად გაშვებას წინ უძღოდა-აგრეთვე დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ექიმებისა და ბიოლოგებისა, რომლებიც კონსტრუქტორებთან და ინჟინრებთან თანამეგობრობით წყვეტდნენ სპლანეტათშორისო ფრენის სამედიცინო-ბიოლოგიურ პრობლემებს და ამუშავებდნენ ხომალდზე სიცოცხლის უზრუნველყოფისა და ფრენის უშიშროების სისტემებს.

ისტორიული განვითარების მრავალი ათასი წლის მანძილზე ადამიანი შეეგუა ჩვენს სტუმართმოყვარე პლანეტას დედამიწას: ჩვენ შეგვიძლია ვისუნთქოთ მხოლოდ ატმოსფეროში, რომელიც შეიცავს გარკვეულ პროცენტ ჟანგბადსა და სხვა გაზებს და რომელსაც აქვს გარკვეული სიმკვრივე. ჩვენთვის ხელსაყრელი ტემპერატურა, ტენიანობა და სხვ.

სხვა პლანეტებზე ცხოვრების პირობებს ცოტა რამ აქვთ საერთო ჩვენს პლანეტასთან. ჯერჯერობით არ არის ცნობილი არც ერთი ციური სხეული, რომელიც დედამიწის კოპიოს წარმოადგენდეს. ჩვენ შევეგუეთ იმას, რომ მზის სხივები მივიღოთ იმ ფორმით, რომლითაც ისინი გვიგზავნიან მაცოცხლებელ ძალას დედამიწის ზედაპირზე: სხივები ატმოსფეროს სიზრკვეში რომ გამოატანენ, წინასწარ იფილტრებიან. მაგრამ მზის სინათლემ, რომელიც ასე გვაკლერსება დედამიწის ზედაპირზე, კოსმოსურ სივრცეში შეიძლება ბევრი უსიამოვნება მოგვაყენოს. ყველაფერს ხომ, რაც ხურდება მზის სხივებით სამყაროს სივრცეში თითქმის არავითარი შესაძლებლობა არა აქვს გაცივდეს. ამიტომ საპლანეტათშორისო ხომალდების კონსტრუქტორებს, უწინარეს ყოვლისა, აღელვებთ კოსმოსური ხომალდის თბოიზოლაციის პრობლემა, აგრეთვე პილოტის კაბინაში ტემპერატურის დაცვისა და ზუსტი კონტროლის პრობლემა.

საბჭოთა მეცნიერები კოსმოსის ათვისების შესახებ

✦

მაშასადამე, რა პირობებშიც უნდა ჩავარდეს კოსმოსური ხომალდი, ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედობის შესანარჩუნებლად საჭიროა კაბინაში გაწუწყვეტლივ იყოს დაცული გარკვეული მიკროკლიმატი, რომელიც ახლოა დედამიწის მიკროკლიმატთან. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც უნდა მოაწყოს ადამიანმა ორბიტული ფრენა დედამიწის, მთვარის გარშემო, თუ მარსზე, ვენერაზე, მას ყველგან დასჭირდება თან იქონიოს იზოლირებული ხელოვნური სამყარო — დედამიწის ნაწილი, შექმნილი ადამიანის გონების მიერ. ატმოსფერო და კლიმატი კოსმოსური ხომალდის კაბინაში მთელი ფრენის მანძილზე დედამიწის ატმოსფეროსა და კლიმატს უნდა უახლოვდებოდეს. სხვა პლანეტის ზედაპირზე რომ შევა, კოსმონავტს დასჭირდება ჩაიცვას დამცველი კოსტიუმი, რომელიც მთლიანად გამოთიშავს ადამიანის სხეულს უცხო პლანეტის გარემოსაგან.

განვიხილოთ კოსმოსური ფრენის დროს კაბინაში საჭირო მიკროკლიმატის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის შესაძლო გზები. კონსტრუქტორებმა უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველყონ პირობების მუდმივობა ხომალდის კაბინაში ფრენის ყველა უბანზე. ამასთან ჭარბი სითბო კაბინაში ისევე საშიშია, როგორც სითბოს ნაკლებობა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცხოველურ ორგანიზმში სიცოცხლის პროცესების მიმდინარეობის შესაძლებლობა შეზღუდულია შიდა გარემოს ტემპერატურათა საკმაოდ ვიწრო ფარგლებით — 0-დან 45-50 გრადუსამდე. სხეულის ტემპერატურის დაწევა 25 გრადუსზე დაბლა და მისი აწევა 43 გრადუსზე მაღლა, როგორც წესი, ადამიანის სიკვდილს იწვევს. მაგრამ არსებობს ორგანიზმები, რომლებსაც გაციებისა ან გაშრობის საშუალებით შეგვიძლია დროებით შევუჩერთოთ სიცოცხლის მოვლენათა ჯაჭვი. ბევრი დაბალი ორგანიზმი და მეტი წილი მცენარეები, თითქოს ხედავენ არახელსაყრელი პირობების დაწყების შესაძლებლობასო, ქმნიან სპორებსა და თესლს, რომლებშიც ნაკლებად არის წყალი და რომლებიც დიდად უძლებენ გაციებას, გაშრობასა და ჟანგბადის უქონლობას.

მაგალითად, ცნობილია, რომ მიკრობთა სპორები და ზოგიერთი მცენარის თესლი სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს ასობით და ათასობით წლის მანძილზეც კი სულ სხვადასხვა პირობებში. კუს ნივთიერებათა ცვლა ზამთრის ძილის დროს პრაქტიკულად მუდმივია, მიუხედავად იმისა, რომ ამინდის ტემპერატურა მერყეობს 1-დან 9 გრადუსამდე. ზოგიერთი მწერი და ფრინველი სხვადასხვა შეგუებითი გზით უზრუნველყოფს გარემოს ტემპერატურის მუდმივობას.

მაგალითად, არიან სპეციალური „ფუტკრები ვენტილატორები“, რომელნიც სპეციალური მოძრაობითი აქტივობით მუდმივ დონეზე იცავენ სკის ტემპერატურას.

სულ უკანასკნელ ხანამდე მიაჩნდათ, რომ ცხოველი, განსაკუთრებით უმაღლესი ცხოველი, აუცილებლად, კვდება თუ მისი სხეულის ტემპერატურამ 15 გრადუსზე დაბლა დაიწია. ჩერდება სუნთქვა, წყდება გულის მუშაობა. მაგრამ სულ ამ ცოტა ხნის წინათ მოეწყო საინტერესო ცდები ვირთაგვებზე, თეთრ თაგვებსა და ძაღლებზე. მთელი საათის განმავლობაში მათი ტემპერატურა 0 გრადუსზე იყო. მაგრამ ამის შემდეგაც კი ცხოველს სავსებით აღუდგინეს გულის მუშაობა და სუნთქვა და, რაც განსაკუთრებით შესანიშნავია, შეუნარჩუნეს გამომუშავებული პირობითი რეფლექსები — მეხსიერება. ზაზუნას — პოტენციურ მოზამთრეს — სხეულის ტემპერატურა ნულზე დაბლა ჩამოუყვანეს ცელსიუსის მინუს 5 გრადუს წყლის აბაზანაში ჩაშვების გზით. აღნიშნული ტემპერატურის დროს სხეულის წყლის 50 პროცენტი ყინულად იქცეოდა. ზაზუნები საათზე მეტ ხანს იყვნენ გაყინვის წერტილზე დაბალ ტემპერატურაში. მაგრამ ამის შემდეგაც გაცოცხლდნენ სრულიად დაუზიანებლად, არაფერი დახტუობიათ.

ადამიანის ორგანიზმი შეგუებულია არა მარტო შიგნითა, არამედ აგრეთვე გარეთა გარემოს ტემპერატურის ვიწრო ფარგლებთან. ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ჰაერის 30 პროცენტი ტენიანობის დროს ცელსიუსის 100 გრადუსი ტემპერატურის გადატანა შეიძლება 30 წუთს, 125 გრადუსისა — 20 წუთს და 200 გრადუსისა — 3 წუთს. ტემპერატურის შემდგომი გადიდებისას სწრაფად ჩნდება კანის ღია ნაკვეთების და განსაკუთრებით თვალების დამწვრობა. ყოველივე ეს გაითვალისწინეს კოსმოსური ფრენის სამედიცინო ბიოლოგიური პრობლემების დამუშავებისას, კერძოდ მაღალი ტემპერატურისაგან ადამიანის დაცვის საშუალებათა დამუშავებისას.

საქმე ის არის, რომ კოსმოსური ხომალდი დიდი სიჩქარით რომ მიფრინავს ატმოსფეროში, შესამჩნევად ხურდება, ხოლო ამ სითბოსაგან განთავისუფლება უჰაერო სივრცეში ძალიან ძნელია. თუ ხომალდის კაბინაში არ იქნება ჰაერის იძულებითი ცირკულაცია, ეს გამოიწვევს ტემპერატურის გადიდებას კაბინაში იმ ზღვარზე მეტად, რომელსაც ადამიანი იტანს. ეს პრობლემები საბჭოთა მეცნიერებმა წარმატებით გადაჭრეს.

როგორღა უნდა ავიცილოთ თავიდან კოსმოსური ხომალდის დამატებითი გადამეტხურება მზის სხივებით? ერთ-ერთი ხერხი წარმოადგინეს და გამოსცადეს საზღვარგარეთელმა ფიზიკოსებმა, როცა გასაზომი აპარატურა გაუშვეს სტრატოსფეროში ბურთ-ზონდების საშუალებით. ხელსაწყოების გარეთა ნაწილებს ღებავენ თეთრი და შავი საღებავის ზოლებით. თუ ცდის გზით შეარჩევენ თეთრი და შავი ზოლების განის შესაფერის თანაფარდობას, შესაძლებელი ხდება ძალიან კარგად არეგულირონ მზის სხივების შთანთქმა და ამით შექმნან საკმაოდ მყარი სითბოს რეჟიმი.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნის დროს კონსტრუქტორებმა ანალოგიური გზა აირჩიეს. თანამგზავრთა მთელი გარეთა ზედაპირი სპეციალურად დაამუშავეს, ამით აღწევენ მზის სხივების არეკვლის საჭირო დონეს და თანამგზავრის საკუთარი თბოგამოსხივების კოეფიციენტის სიდიდეს. უკვე დედამიწის მესამე ხელოვნურ თანამგზავრზე კონსტრუქტორებმა წარმატებით გამოიყენეს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად არეგულირებს სითბოს რეჟიმს კაბინაში, ისე რომ თითქმის არ მოითხოვს ელექტროენერგიის დახარჯვას. ეს გონებამახვილური სამარჯვი ავტომატურად შეძლებს შეცვალოს თანამგზავრის გარსამოსის არეკვლის უნარი მისი ფრენის პროცესში.

კოსმოსური თანამგზავრი ხომალდების წარმატებითმა გაფრენამ, რომლებზეც იყვნენ პირველი საბჭოთა კოსმონავტები იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი, ცხადყო, რომ კაბინის მიკროკლიმატი საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო და არ გამოუწვევია კოსმონავტების შრომისუნარიანობის დარღვევა. როგორც ცნობილია, მთელი საბორტო სისტემები იცავდნენ საჭირო პირობებს კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთის“ კაბინაში. ხომალდის კაბინაში წნევა ერთ ატმოსფეროს უდრიდა, ტემპერატურა მერყეობდა ცელსიუსის 10-დან 22 გრადუსამდე და მისი რეგულირება ხდებოდა კოსმონავტის სითბოს შეგრძნების მიხედვით, ჟანგბადის პროცენტული შეცულობა — 25-27 პროცენტი, ნახშირორჟანგისა — 0,25-0,4 პროცენტი, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა იყო 55-75 პროცენტის ფარგლებში.

ეჭვი არ არის, რომ მომავალ საპლანეტათშორისო ხომალდებსაც, რომლებიც იფრენენ მარსისკენ, ვენერისაკენ და კიდევ უფრო შორი ვარსკვლავებისაკენ, ექნებათ სიცოცხლის უზრუნველყოფის საიმედო სისტემა.

ნ. ალაჯანიანი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

მუოგლიურ სოფელში.

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

გვესტუმრეთ ახალ სეზონში

დღეს გაიხსნება ახალი, 1961-62 წლების სეზონი რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. გაზეთ „კომუნისტ ი ს“ კორესპონდენტ ი ეწვია თეატრის დირექტორს, რუსპუბლიკის სახალხო არტისტს დ. ანთაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა.

— სად გაატარა ზაფხული თეატრის კოლექტივმა?

— ზაფხული თეატრებისათვის საგასტროლო მოგზაურობათა დროა, — თქვა დ. ანთაძემ. — ჩვენი კოლექტივი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. მთელი საგასტროლო პერიოდი ქუთაისში გავატარეთ. ოთხი დღე ტყიბულში ვიყავით და იქ გავმართეთ სპექტაკლები. გასვლითი წარმოდგენები ვუჩვენეთ წყალტუბოს, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ვანის რაიონის მშრომელებს. საგასტროლო რეპერტუარში გვქონდა თეატრის საუკეთესო დადგმები — „ბახტრიონი“, „ჰამლეტი“, „როცა ასეთი სიყვარულია...“, „ქარიშხალში“, „ქართლის ჩირაღდნები“, „ამბავი სიყვარულისა“, და დამატებით, გასვლითი სპექტაკლებისათვის „ფილოსოფიის დოქტორი“, „ეზოში ავი ძაღლია“ და „ხალისიანი მეგობრები“.

— როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები ამ სეზონში, რით გაახარებთ მაყურებელს?

— ახალ სეზონს ახალი გეგმები მოაქვს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ახლა, როგორც მთელი ქართველი ხალხისა და ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკების, ისე ჩვენი თეატრის კოლექტივის საზრუნავი ის არის, რომ წარმატებით შეეხვედეთ სკკპ XXII ყრილობას. ამ დიდ მოვლენას მივუძღვნეთ ახალ დადგმას. ეს იქნება რ. ებრალიძის პიესა „თანამედროვე ტრაგედია“, რომელსაც დადგამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, ხოლო მუსიკას წერს კომპოზიტორი დ. თორაძე. ახალ სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩახავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ჩხეიძე, კ. მახარაძე და სხვები.

რამდენადმე ახალი, დახვეწილი ვარიანტით წარმოდგენილი იქნება გ. ნახუცრიშვილის დრამა „ფიროსმანი“. რეპერტუარში შეტანილია გრ. აბაშიძის პიესა „მოგზაურობა სამ დროში“, რომელსაც დადგმს რეჟისორი გ. ყურუული, ხოლო მხატვრულად აფორმებს მხატვარი დ. თავაძე. რესპუბლიკის სახალხო არტისტი რეჟისორი მ. თუმანიშვილი მუშაობს გ. ხუხაშვილის პიესის „ზღვის შვილების“ დადგმაზე. პიესაში ასახულია ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრება.

სეზონის პირველ ნახევარში კაპიტალურად აღდგენილი იქნება მ. მრევლიშვილის „ნ. ბარათაშვილი“.

განზრახული გვაქვს აღვადგინოთ და მაყურებელს ვუჩვენოთ ქართული თეატრის დიდი რეფორმატორების კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის თითო დადგმა: ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ და ფ. შილერის „ყაჩაღები“. ვფიქრობ, მაყურებელი ინტერესითა და სიხარულით შეხვდება ამ წარმოდგენებს.

... ოქტომბერი

ეს ასპარეზზე უკვე გამოვიდნენ მსაჯები. იწყება სპორტული ბრძოლა საჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის—კიევის „დინამოსი“ თბილისის დინამოელებთან. სასტვენის ხმა და ბურთმა დაიწყო თავისი საათნახევრიანი „მოგზაურობა“ გამოუცნობი მარშრუტით. ვადევნოთ თვალი მის რბოლას.

თამაშის დასაწყისიდანვე თბილისელები იერიშზე გადავიდნენ და კიეველთა რიგებში დაბნეულობა შეიტანეს. მეორე წუთზე დინამოელები შეიჯრნენ მათს საჯარიმო მოედანზე. მდგომარეობის გადასარჩენად მცველი აკრძალულ ხერხს იყენებს. მსაჯი რატომღაც არ აჩერებს თამაშს... ტრიბუნებზე არ ცხრება მღელვარება. მალე გაუგებრობისა და დაბნეულობის ასეთ მომენტში დინამოელებს აჯარიმებენ. კიეველი ბიბა შორიდან ურტყამს, და კოტრიკაძე მოულოდნელად უშვებს ბურთს.

თამაშის ასეთმა ვითარებამ პირველი ხუთი წუთის განმავლობაში უაღრესად აღაშფოთა მაყურებლები. მაგრამ თბილისის დინამოელები განსაკუთრებულ, ნამდვილად სპორტულ სიმტკიცეს იჩენდნენ და კიდევ უფრო მეტი მონდომებით და მამაცურად უტევდნენ მოწინააღმდეგეს. უკრაინელთა კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მეტად ძნელ პირობებში, როცა კართან თავს იყრიდა კიეველთა 8-9 მოთამაშე.

გუნდები დასასვენებლად წავიდნენ. ანგარიში იყო 1:0 კიევის „დინამოს“ სასარგებლოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში ყველაფერი ისევე გრძელდებოდა. კიეველთა ტემპმა თანდათანობით იკლო, უფრო და უფრო იშვიათად მიჰქონდათ მათ იერიშები, თავდამსხმელთა ნაწილი დაცვაზე გადავიდა.

თბილისელთა შეტევა კი უფრო გაძლიერდა. მათი მეტოქეები თავდადებით იცავდნენ თავიანთ კარს. მატჩის გმირი მეკარე მაკაროვი იყო. მან არაერთხელ გადაარჩინა კიეველთა კარი.

ბოლოს კიეველები მიმართავენ თამაშის განზრახ შენელებას, რომ შეინარჩუნონ გამარჯვება. დრო მიდის, მაყურებლები კი არ კარგავენ თავიანთი გუნდის წარმატების იმედს. მაგრამ თამაშში დამთავრდა. თბილისის დინამოელები დამარცხდნენ 0:1.

ქართველმა ფეხბურთელებმა ამ თამაშში დიდი გამძლეობა, მაღალი ტექნიკა და განსაკუთრებული სიმტკიცე და დისციპლინა გამოიჩინეს. ყოველივე ამაში მათ უპირატესობა ჰქონდათ.

მაშ რატომ წააგეს თამაში?

ნუ შეეხებით იმას, რამდენად სწორი იყო მსაჯის მოქმედება. წარმატებით თამაშისათვის საკმარისი არ არის სპორტული გრძოლის მხოლოდ საუკეთესო საშუალებანი (თამაშის ტექნიკა, ფიზიკური და მორალური მომზადება), დიდი მნიშვნელობა აქვს მათს რაციონალურად გამოყენებას. აი სწორედ ამაში ვართ სუსტნი, ძალიან პრიმიტიული ტაქტიკა, ეს უკანასკნელი კი ძლიერია მაშინ, როდესაც არის მოქმედების სისწრაფე, ჩერნების მოულოდნელობა და ნაირფერობა. აქვს თუ არა ეს ჩვენს გუნდს?

ვფიქრობთ, რომ აქვს. ნელა ვითარდება ჩვენში ტაქტიკური კომბინაციები. მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეები თითქმის ყოველთვის უფრო ადრე გროვდებიან თავიანთ კართან, ვიდრე ჩვენ მასთან მივიდოდეთ. წარმოგებს ბურთის მხოლოდ მოკლედ გადაცემა. თვითეული მოთამაშე აუცილებლად აჩერებს მას თავისთან. მე დავითვალე მხოლოდ სამი გადაცემა ერთი შეხებით ნახევარმცველებისა და თავდამსხმელების თამაშში. განა შეიძლება ლაპარაკი რაიმე მოულოდნელობაზე, როცა მაყურებლებისათვისაც კი ცხადია, თუ საით იქნება გაგზავნილი ბურთი. ჩვენს თამაშში ძალიან ცოტაა სიახლე და ბევრია მოძველებული ერთფეროვნება. ისეთი შესანიშნავი მოთამაშეც კი, როგორიც მესხია, გაიჭრება ხოლმე მხოლოდ თავისი კუთხის ალმისაკენ.

პოპულარული კიევის გუნდის თამაშმა ამ დღეს მაინცდამაინც ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. სიძნელეებმა, რომლებსაც იგი შეხვდა თბილისელებისაგან, შეზღუდა მისი შესაძლებლობანი. თამაშს განსაკუთრებით აფუჭებდა მათი მცველების უხეშობა.

თბილისის დინამოელები, მიუხედავად ყველა თავისი ნაკლოვანებისა, სჯობნიდნენ თამაშში სტუმრებს და გულსტკივნად წააგეს არსებითად მოსაგები მატჩი.

ა. გალპერინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მ. ბოტვინიკი ბაკოში

ამ დღეებში ბაკოში იმყოფებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი და გროსმაისტერი ალი ფლორი. სტუმრებმა აზერბაიჯანის დედაქალაქში ჭადრაკის თემაზე წაიკითხეს ლექციები, მოაწყეს ერთდროული თამაშის სეანსები.

ბოტვინიკი საათით თამაშობდა ოსტატობის კანდიდატებთან 8 დაფაზე. მსოფლიოს ჩემპიონმა შეხვედრა თავის სასარგებლობდა 6,5:1,5 დაამთავრა.

გროსმაისტერი სალო ფლორი თამაშობდა 30 დაფაზე. ფლორმა მოიგო 22 პარტია, 7 ყაიმით დაამთავრა და 1 პარტია წააგო.

მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი ერევანში გაემგზავრნენ.

საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფი

სოფიაში ათ დღეს გრძელდებოდა სტუდენტთა საერთაშორისო ასპარეზობა — უნივერსიადა. გასულ კვირადღეს შედგა უკანასკნელი შეხვედრები. 110 მეტრზე თარჯრნენში პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა ვ. ჩისტიაკოვმა. მან უნივერსიადის ახალი რეკორდი დაამყარა. საბჭოთა მძლეოსნებმა ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე ამანათრბენში 4×100 მეტრზე ვაჟთა და ქალთათვის.

უნივერსიადა საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით აღინიშნა. მათ მოიპოვეს 21 ოქროს, 23 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი.

განის ფეხბურთელები ითამაშებენ თბილისში

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება განის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მორიგი შეხვედრა მათ გამართეს მინსკში ადგილობრივ „ბელარუსთან“ და წააგეს მატჩი ანგარიშით 1:2. განელი ფეხბურთელები 7 და 10 სექტემბერს შეხვდებიან ერევნის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“

გლედის ტურნირი

იუგოსლავიის ქ. ბლედში დაიწყო მიმდინარე წლის უდიდესი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

პირველ ტურში გელერმა შავებით დაამარცხა პორტიში. ტალისა და ივკოვის პარტია გადადებულია ტალისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. დარგამ მოუგო უდოვჩიჩს. დონარ-პეტროსიანის, გლიგორიჩ-ფიშერისა და ბისმაიერ-ტრიფუნოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მ. ტოგონიძის გამარჯვება

გუშინ იალტაში დამთავრდა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება. პირველი ადგილი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ოსტატმა მ. ტოგონიძემ.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

... ქრონიკა

გულსატკენი დამარცხება

... ბურთ-ზონდების

... ბურთ-ზონდების

... ბურთ-ზონდების

მაღალი ჯილდო

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ჯილდოგების გადაცემა

2 სექტემბერს საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადასცეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა 1960 წლის გამოფენის ჯილდოები ამ გამოფენის მონაწილეთა.

ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შ. მიქელაძემ.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომი კომბინირებული საკვების გასამდიდრებლად საკვები ტერამიცინის წარმოების ორგანიზაციის, დამუშავებისა და ათვისებისათვის გადაეცა ნავთლუღის პურის პროდუქტების ბაზას. ბაზის დირექტორს თ. დ. წულუკიძეს საკვები ტერამიცინის წარმოების პროექტის დამუშავებასა და ათვისებაში მონაწილეობისათვის გადაეცა დიდი ვერცხლის მედალი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს უფროსს მ. ბ. ნარსიას გადაეცა პატარა ოქროს მედალი.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიდი ოქროს მედალი ვეფხიებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ფართოდ დანერგვის და მწკრივთაშორისების მექანიზებული დამუშავების, მავნებელთა და დაავადებათაგან ვენახის მკურნალობის ფართოდ დანერგვის უზრუნველყოფისათვის, რის შედეგადაც 2.112 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მიღებულია 76,6 ცენტნერი ყურძენი, გადაეცა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს ა. შ. დავითაშვილს.

დიდი ოქროს მედალი გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გ. ი. შხვაცაბაიას მექანიზებულ სამუშაოთა ხორმირების ხელსაწყოებისა და ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სასოფლო ჰიდროსადგურების ავტომატიზაციის მართვის აპარატურის კონსტრუქციის შემუშავების, მათი დამზადების ხელმძღვანელობისა და წარმოებაში დანერგვისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით.

სანმუშო მეთოდური ხელმძღვანელობისათვის, ნორჩი ნატურალისტების წრეების ახალი პროგრამების, წრეების დასახმარებლად საცდელი მუშაობის განხორციელებაში და ნაკვეთებზე სასასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად მეთოდური ბროშურების შემუშავებისათვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულია ქალაქ თბილისის ნორჩი ნატურალისტების რესპუბლიკური სადგური. სადგურის დირექტორს შ. ბ. მანგიაშვილს გადაეცა დიდი ვერცხლის მედალი.

პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულია აგრეთვე ქალაქ თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიდი ვერცხლის მედლები გადაეცათ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრებს ი. ა. ოჩიაურს ვერცხლის სამკაულთა კომპლექსის ორიგინალური მხატვრული შესრულებისათვის, და ნ. პ. ოქროსპირიძეს ბუნებრივი მასალებისაგან (კაკალი, ხავსი, რკო, საცობი) მინიატურულ სათამაშოთა ორიგინალური ჟანრის შექმნისათვის.

ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 102 სბაავშვო ბაღის გამგეს ქ. ი. კაკუშაძეს აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

სულ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებითა და სიგელებით დაჯილდოებულია 140-ზე მეტი კაცი და დაწესებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შ. მიქელაძემ გულითადად მიულოცა და შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა უსურვა დაჯილდოებულთ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრონზაოს მედლის მფლობელი მხატვარი — მოდელიერი ზ. ს. კარასევა და პატარა ვერცხლის მედლის მფლობელი ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროს ჯგუფის ხელმძღვანელი ა. ხ. ხუციშვილი, რომლებმაც ფალითადი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას. (საქმესი).

მატჩები მოსკოვსა და როსტოვში

გასულ კვირადღეს მოსკოვსა და დონის როსტოვში გაიმართა პირველი ათი ადგილისათვის მებრძოლ „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა.

მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი შეხვდა დედაქალაქის „ლოკომოტივს“. ლოკომოტიველებმა მეორე ტაიმში 4 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4 : 0.

დონის როსტოვში თამაშობდნენ ტაშკენტის „პახტაკორისა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. მატჩის შედეგი ფრე 2 : 2.

გათამაშების ცხრილი

I-X ადგილები

მდგომარეობა 5 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	22	16	2	4	52:25	34
„დინამო“ (კ.)	22	14	5	3	43:19	33
ცსკა	22	14	3	5	56:32	31
„სპარტაკი“ (მ.)	22	12	5	5	43:24	29
„ლოკომოტივი“ (მ.)	21	10	8	3	39:23	28
„დინამო“ (თბ.)	22	10	6	6	37:24	26
„ავანგარდი“ (ხ.)	22	10	6	6	22:17	26
„სპარტაკი“ (ერ.)	22	8	9	5	29:28	25
„პახტაკორი“ (ტ.)	21	9	6	6	32:35	24
სკა (რ.)	22	9	5	8	41:25	23

შეხვედრა „სლოვან ორგბისისთან“

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ყალათბურთში პრაღის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „სლოვან ორგბისისა“ და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდებს შორის.

ორივე ტაიმში ბრძოლა თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 71:66 (36:26).

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

სოხუმში ადგილობრივი „რიწასა“ და გომელის „ლოკომოტივის“ გუნდების მატჩში გაიმარჯვეს სოხუმელებმა ანგარიშით 2 : 0.

ბათუმში ვიტებსკის „კრასნოე ზნამიასა“ და ბათუმის „დინამოს“ მატჩის შედეგად 1:1, დინამოელთა სასარგებლოდ.

თბილისში ქ. ბობრუისკის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი „ლოკომოტივი“. შეჯიბრება დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 2:0.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს

ასპირანტურაში მიღებას 1961-62 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

პედიატრია . . .	1 ადგილი
რენტგენოლოგია . .	„
პათოლოგიური ანატომია	„
ჰისტოქიმია . . .	„
ნეიროქირურგია . .	„
ონკოლოგია . . .	„
ვირუსოლოგია . .	„

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 35 წლის ასაკისა.

საკონკურსო მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ მოცემულ